19 აგვისტო ყველა ქართველისა და ყველა ქრისტიანის უდიდესი დღესასწაული —

ფერისცვალება უფლისა ღვთისა და მაცხოვრისა ჩვენისა იესო ქრისტესი

საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან. № 182 (728) ხუთშაბათი, 19 აგვისტო, 1993 წელი ფასი [illegible] კუპონი

პირველი სვეტი

ცნობები აფხაზეთიდან

სოხუმი. 17 აგვისტოს, დილის 12.00 საათზე, მდ. გუმისთის ხიდზე ერთმანეთს შეხვდნენ გაერთიანებული კომისიის წევრები. შეიქმნა 6 საკონტროლო ჯგუფი, სამ-სამი კაცის შემადგენლობით. აქედან სამი გადავიდა იმ ტერიტორიაზე, რომელსაც აკონტროლებს გუდაუთის მხარე, ხოლო სამი — საქართველოს შეიარაღებული ძალების მიერ კონტროლირებულ ტერიტორიაზე.

საღამოს, 16.00 საათისთვის ორივე ჯგუფმა წარადგინა ანგარიში კომისიის მუშაობის შესახებ. შემაჯამებელი სიტყვით გამოვიდა რუსეთის მხარის საგანგებო კომიტეტის თავმჯდომარე სერგეი შოიგუ. მან აღნიშნა, რომ ყინული დაიძრა და ინტენსიურად მიმდინარეობს შეიარაღებულ ძალთა დაშორიშორება. მართალია არსებობს გარკვეული დარღვევები, მაგრამ პროცესი გრძელდება და ეს დიდ იმედს გვაძლევს.

დღეს საკონტროლო ჯგუფებმა განაგრძეს მუშაობა ოჩამჩირის რაიონის ზონაში. დღესვე, 12.00 საათზე მოხდა ტყვეთა გაცვლა და გაგრძელდა დანაღმული ტერიტორიების გაუვნებელყოფა.

სოხუმი. სოფ. შრომა, ფაქტობრივად, განადგურებულია — შეიძლება ითქვას, რომ მისგან მხოლოდ გეოგრაფიული დასახელებაღა დარჩა.

სოფელში ამჟამად აფხაზთა მხარის შეიარაღებული ფორმირებები იმყოფებიან. დღეს დაგეგმილია მათი გაყვანა სოფლიდან, მაგრამ აფხაზები ითხოვენ, რომ შრომაში დარჩეს გუდაუთის მხარის 50 შეიარაღებული მებრძოლი.

●

დგება მშვიდობიანი სადაგი დღეები

17 აგვისტოს ღამით, ისევე როგორც მთელი შემდეგი დღე, სოხუმში არცერთი გასროლა არ მომხდარა, არ დაფიქსირებულა აფხაზეთში ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმების დარღვევის არცერთი ფაქტი. მდინარე გუმისთის რაიონში, იქ, სადაც ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინათ გააფთრებული ბრძოლები მიმდინარეობდა, გრძელდებოდა ნაღმების განაღმვა, დანარჩენ ადგილებში ჯარები სტოვებდნენ დისლოკაციის ადგილებს, მკაცრად იცავდნენ მხარეთა დაშორიშორების გეგმას.

სასიხარულოა, რომ არ მომხდარა საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის არცერთი ფაქტიც. ახლა სოხუმელი მონაწილეობს ქალაქის გაწმენდის, საქალაქო მეურნეობის საარსებო საჭიროების საშუალებების აღდგენის სამუშაოებში. ქალაქი შეუფერხებლად მარაგდება ელექტროენერგიით. პური საკმარისია. ერთი უბედურება ის არის, რომ საკმარისი არ არის წყალი. 17 და 18 აგვისტოს მას მხოლოდ სამი-ოთხი საათის განმავლობაში აწოდებდნენ.

ამ დღეებში

გვეტყობინებიან „საქართველოს რესპუბლიკის" და საქინფორმის კორესპონდენტები

ფაქტი მოვლენა კომენტარი

კომუნიკე

საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის თავმჯდომარის — სახელმწიფოს მეთაურის ედუარდ შევარდნაძის თურქმენეთში ვიზიტის შედეგების შესახებ

1993 წლის 17 აგვისტოს თურქმენეთის პრეზიდენტის საფარმურატ ნიაზოვის მიწვევით აშგაბატში ოფიციალურ მეგობრულ ვიზიტად იმყოფებოდა საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის თავმჯდომარე — სახელმწიფოს მეთაური ედუარდ შევარდნაძე.

ვიზიტის დროს განიხილეს ფართო წრის ურთიერთსაინტერესო პოლიტიკური და ეკონომიკური პრობლემები. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ორმხრივი ურთიერთობის განვითარების პერსპექტივებს. სახელმწიფოთა მეთაურებმა აღნიშნეს თავიანთი ქვეყნების ხალხთა მისწრაფება სუვერენული თანასწორობის, მეგობრობისა და ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობის პრინციპებზე ყოველმხრივი ურთიერთობის შემდგომი გაფართოებისადმი.

სახელმწიფოთა მეთაურებმა დიდი შეფასება მისცეს მეგობრობისა და თანამშრომლობის შესახებ ხელმოწერილ ხელშეკრულებას, სხვა სამთავრობათშორისო შეთანხმებებს. აღინიშნა, რომ ეს დოკუმენტები მყარ სახელშეკრულებო-სამართლებრივ ბაზას უქმნის თურქმენეთსა და საქართველოს რესპუბლიკას შორის კავშირურთიერთობის მთელი კომპლექსის მტკიცე განვითარებას.

აზრთა გაზიარების დროს ხაზგასმით აღინიშნა, რომ თურქმენეთ-საქართველოს თანამშრომლობის გაღრმავება თავისი მნიშვნელობით სცილდება ორმხრივი ურთიერთობის ფარგლებს, ხელს უწყობს ურთიერთხელსაყრელი რეგიონთაშორისი კავშირურთიერთობის განვითარებას.

მხარეებმა გამოთქვეს დიდი წუხილი იმის გამო, რომ გრძელდება სისხლისღვრა და კონფლიქტები ამიერკავკასიაში, შუა აზიაში, სხვა რეგიონებში, რომლებიც საფრთხეს უქმნის საერთაშორისო მშვიდობას. სახელმწიფოთა მეთაურებმა მხარი დაუჭირეს იმას, რომ რაც შეიძლება მალე მოწესრიგდეს ეს კონფლიქტები მშვიდობიანი საშუალებებით, ამასთან იხელმძღვანელონ ტერიტორიული მთლიანობის, საზღვრების ურღვეობის, ერთმანეთის საშინაო საქმეებში ჩაურევლობის პრინციპებით, აღნიშნეს მათი გადაჭრის საქმეში პოლიტიკური მექანიზმების პრიორიტეტი. ითქვა, რომ აფხაზური კონფლიქტის მშვიდობიანი მოწესრიგების ტენდენცია დადებით გავლენას მოახდენს საყოველთაო სტაბილურობაზე.

მხარეებმა ხაზგასმით აღნიშნეს თურქმენეთსა და საქართველოს რესპუბლიკას შორის მიღწეულ შეთანხმებათა მნიშვნელობა, რომლებიც მყარ საფუძველს ქმნის იმისათვის, რომ ახალ დონეზე ავიდეს ტრადიციული მეგობრობა ქართველ და თურქმენ ხალხებს შორის.

საუბრის დროს საფუძვლიანად განიხილეს თურქმენეთის პრეზიდენტის საფარმურატ ნიაზოვის ინიციატივა მიმდინარე წლის ოქტომბერში აშგაბატში ყოფილი სსრ კავშირის ტერიტორიაზე შექმნილი სახელმწიფოების მეთაურთა შეხვედრის მოწყობის შესახებ. საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის თავმჯდომარემ — სახელმწიფოს მეთაურმა ედუარდ შევარდნაძემ დიდი შეფასება მისცა ამ იდეას და ხაზგასმით აღნიშნა, რომ ასეთი შეხვედრა საკონსულტაციო საწყისებზე საშუალებას მოგვცემს ახალი საფუძვლები შევუქმნათ ახალ დამოუკიდებელ სახელმწიფოთა ურთიერთხელსაყრელ თანამშრომლობას. ხაზგასმით აღინიშნა, რომ საქართველოს რესპუბლიკის ხელმძღვანელობა მზად არის ხელი შეუწყოს იმას, რომ თურქმენეთის პრეზიდენტის ინიციატივა სრული მოცულობით იყოს რეალიზებული.

საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის თავმჯდომარემ — სახელმწიფოს მეთაურმა ედუარდ შევარდნაძემ მადლობა გადაიხადა გულთბილი მიღებისათვის და თურქმენეთის პრეზიდენტი საფარმურატ ნიაზოვი მიიწვია საქართველოს რესპუბლიკაში მისთვის ხელსაყრელ ნებისმიერ დროს.

აშგაბატი, 1993 წლის 17 აგვისტო.

მხოლოდ შრომა გადაგვარჩენს!

„აზოტი" პოზიციებს არ თმობს

მძიმე დღეები აქვს რესპუბლიკის მრეწველობას. ეკონომიკურმა ბლოკადამ, ქაოსმა და განუკითხაობამ საწარმოთა ერთი ნაწილი საერთოდ გააჩერა, მეორე ნაწილი კი 20-30 პროცენტით თუ იყენებს თავის სიმძლავრეებს. რუსთავის საწარმოო გაერთიანება „აზოტმა" ახეთ პირობებშიც შესძლო წარმატებისთვის მიეღწია. იგი წლეულს 6,5 მილიარდი მანეთის პროდუქციას გამოუშვებს, ამასთან, გაზის კონცერნისთვის შეიძენს 50 მილიონი მანეთის თხევად გაზს, რაც ჩვენთან ერთობ დეფიციტურია.

ამჟამად გაერთიანება უშვებს ამონიუმის სულფატს, გვარჯილას, კაპროლაქტამს, მანგანუმის დიოქსიდს, თხევად ჟანგბადს, აზოტმჟავას, მინერალურ მარილებს, რომელთა ერთი ნაწილი გაიგზავნება საზღვარგარეთაც. მალე ამუშავდება ახალი საწარმო, რომელიც გერმანული ტექნოლოგიით დამზადებულ ტუჩის საცხს გამოუშვებს.

სურათებზე: ამონიუმის გვარჯილის საამქროს ლაბორანტი დალი ბიგანიშვილი; მტვირთავები თემურ ტაბატაძე, ოთარ ხიდაშელი, სოსო მარქარაშვილი, რეზო ჭლარტავა, ცვლის უფროსი გია მაჩიტაძე შესვენებაზე მიდიან; ცენტრალური სამართავი ფარის საამქროს უფროსი გია მხატვრიშვილი და ოპერატორი მანანა ჩუბინიძე პულტზე მორიგეობისას.

თედო ნიკოლაიშვილის ფოტორეპორტაჟი.

სამხედრო სამსახური ყველა ახალგაზრდის ვალია

საქართველოს რესპუბლიკის მთავარმა და რეგიონულმა სამხედრო პროკურატურებმა თანახმად სახელმწიფოს მეთაურის განკარგულებისა „საქართველოს რესპუბლიკის შეიარაღებულ ძალებში კანონიერების უზრუნველყოფის, დამნაშავეობასთან ბრძოლის გაძლიერებისა და სამხედრო მოსამსახურეების სამართლებრივი აღზრდის ღონისძიებათა შესახებ", წლეულს ივლისში შეამოწმეს, თუ როგორ სრულდება საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო კომისარიატებში კანონი საყოველთაო სამხედრო ვალდებულების თაობაზე. ამის შესახებ საქინფორმის კორესპონდენტს ესაუბრა საქართველოს რესპუბლიკის მთავარი სამხედრო პროკურატურის საერთო ზედამხედველობის განყოფილების უფროსი, იუსტიციის პოლკოვნიკი კუკური მარტყოფლიშვილი.

— შემოწმებით გამოირკვა, რომ, მართალია, სამხედრო კომისარიატებში განხორციელდა გარკვეული მოსამზადებელი სამუშაოები, რომლებიც ეხება ახალგაზრდების გაწვევას საქართველოს ეროვნულ შეიარაღებულ ძალებში, მაგრამ გამოვლენილია სამხედრო კომისარიატების მიერ მოქმედი კანონმდებლობის სერიოზული დარღვევების ფაქტები. კერძოდ, მათ სამხედრო სამსახურში ვერ გაიწვიეს წვევამდელების ის რაოდენობა, რაც გეგმით იყო გათვალისწინებული თავდაცვის სამინისტროს ძალების დასაკომპლექტებლად. რაიონულ სამხედრო კომისარიატებში დაზუსტებულია გასაწვევი ჭაბუკების რაოდენობა, შედგენილია ღონისძიებათა განხორციელების გეგმები და მიწერის განრიგი. მაგრამ ეს არ არის საკმარისი, რადგან რაიონის ტერიტორიაზე არსებული საწარმოების და ორგანიზაციების ნახევარს არა აქვს წარმოდგენილი იმ პირთა სიები, რომლებიც მიწერას ექვემდებარებიან.

სავალდებულო სამხედრო სამსახურში გასაწვევი ჭაბუკების გარკვეული ნაწილი არ ცხადდება სამხედრო კომისარიატში კომისიის გასავლელად. სამწუხაროდ, კომისარიატები არავითარ ქმედით ზომებს არ ახორციელებენ ასეთი პირების მიმართ. ამ დარღვევების თაობაზე, თქვა იუსტიციის პოლკოვნიკმა, აუცილებელია დაევალოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანოებს, რომ დაადგინონ მისაწერ პირთა გამოუცხადებლობის მიზეზები, მიიღონ შესაბამისი ზომები მათ მიმართ.

ჯერ კიდევ შარშან, სამედიცინო კომისიის მიერ რესპუბლიკის სამედიცინო დაწესებულებებში გამოსაკვლევად გაიგზავნენ წვევამდელები. მაგრამ სამხედრო კომისარიატებში დღემდე არ არის წარმოდგენილი გამოკვლევის დამადასტურებელი საბუთები, კომისარიატის თანამშრომლები კი გულგრილობას იჩენენ, ისინი არ ატყობინებენ შინაგან საქმეთა ორგანოებს მსგავსი დარღვევების შესახებ.

სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ არც ერთი რაიონის სამხედრო კომისარიატს არ გაუწვევია განრიგით გათვალისწინებული წვევამდელთა რაოდენობა. ეს, ცხადია, გამოწვეულია არა მარტო რესპუბლიკაში შექმნილი მძიმე ვითარებით, არამედ სამხედრო კომისარიატებში არსებული უწესივრობით.

გულიკო მარკოზაშვილი.

ზოგიერთ საკითხზე გვაქვს განსაკუთრებული შეხედულება

აფხაზეთიდან ლტოლვილთა განცხადება

ქვემოთ ხელმომწერი ლტოლვილები აფხაზეთიდან ცეცხლის შეწყვეტას მხარს ვუჭერთ. ამასთან ერთად, ზოგიერთ საკითხზე გვაქვს განსაკუთრებული შეხედულება, რომლის გაუთვალისწინებლობა ჩვენი აზრით, გამოიწვევს არასტაბილურობას და შემდგომში შესაძლებელია სიტუაცია უმართავი გახდეს.

ჩვენი შეხედულება მდგომარეობს შემდეგში:

1. სად უნდა იქნას გაყვანილი საქართველოს შეიარაღებული ძალები, რომელთა 90% ადგილობრივი მოსახლეობისაგან შედგება. ჩვენი აზრით, ეს ნაწილები უნდა დარჩეს ადგილზე და ადგილობრივმა წვევამდელებმა იქ უნდა გაიარონ სავალდებულო სამხედრო სამსახური. გაუგებარია, ტერიტორიის რომელ მხარეს აკონტროლებენ აფხაზური შეიარაღებული რაზმები.

2. შერეული პოლიცია რომელ ზონაში დაიცავს საზოგადოებრივ წესრიგს?

3. ვინ იქნება დღეს აფხაზეთში ხელისუფლების კანონიერი ორგანო? რაც შეეხება გუდაუთის დაჯგუფებას, ის ჩვენ არ მიგვაჩნია ხელისუფლების კანონიერ ორგანოდ. მათ არა აქვთ არც იურიდიული და არც მორალური უფლება იყვნენ ხელისუფლებაში, მხედველობაში გვყავს არძინბა, შანბა, ოზგანი, აჩბა და სხვა. ისინი არიან სამხედრო დამნაშავეები, რომლებმაც მოაწყვეს სისხლისღვრა. მათი უშუალო ბრძანების მსხვერპლი გახდა ათასობით უდანაშაულო ადამიანი. ჩვენი აზრით, გარდაუვალია მათი სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა.

4. შეთანხმებაზე რატომღაც მხოლოდ გუდაუთის დაჯგუფების მესვეურები აწერენ ხელს, როდესაც არსებობს დაპირისპირებული სოხუმის მხარეც.

5. გაუგებარია, რატომ ფიგურირებს ასე ხშირად შეთანხმებაში 1992 წლის 3 სექტემბრის შეთანხმება, როდესაც ამ დადგენილების შედეგად ჩაბარდა გაგრის რაიონი, რასაც მოყვა მშვიდობიანი მოსახლეობის ხოცვა-ჟლეტა.

6. რაც შეეხება ლტოლვილების დაბრუნებას, ჩვენი აზრით, საჭიროა შემდეგი ღონისძიებების განხორციელება:

ა) საოკუპაციო ზონიდან ყველა იმათი გასახლება, განურჩევლად ეროვნებისა, რომლებსაც ომამდე არ უცხოვრიათ ამ ტერიტორიაზე;

ბ) გამოიყოს კომისია, რომელიც დაადგენს დამნაშავეებს მშვიდობიანი მოსახლეობის ხოცვა-ჟლეტაში. უნდა მოხდეს მხილებულ პირთა იზოლირება და გასამართლება არსებული წესით ლტოლვილების დაბრუნებამდე.

გ) უკლებლივ ყველა ლტოლვილი უნდა დაუბრუნდეს თავის საცხოვრებელ ადგილს. აქვე უნდა იქნას გათვალისწინებული ღონისძიებანი იმ პირების მიმართ, რომლებსაც შიშის გამო არ უნდათ უკან დაბრუნება, ხშირ შემთხვევაში დიდქალაქში იძენენ საცხოვრებელ ბინას. ვითვალისწინებთ იმას, რომ თბილისი ისედაც გადატვირთული ქალაქია და აგრეთვე იმას, რომ ეს ხელს შეუწყობს ქართული ორიენტაციის გაძლიერებას აფხაზეთში. თბილისის მერიას ვთხოვთ აკრძალოს ნაყიდი ბინების დაკანონება.

დ) ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობა შეიარაღებულია თანამედროვე სამხედრო ტექნიკით, რომელიც, არაა გამორიცხული, დროთა ვითარებაში გამოყენებული იქნება მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ. მაშინ როცა შეთანხმების თანახმად, ლტოლვილები ბრუნდებიან უიარაღოდ და უსახსროდ.

ე) გაგრის ადგილობრივი ადმინისტრაცია დამნაშავეა რეგიონის მოსახლეობის ხოცვა-ჟლეტაში და ამიტომ საჭიროა მათი დასჯა კანონის მთელი სისასტიკით. ამასთან, გაუგებარია პარლამენტის მიერ გამოყოფილი გაგრის ტრაგედიის შემსწავლელი კომისიის უმოქმედობა, თავდაცვის სამინისტროს და სხვა მაღალი ეშელონების თანამდებობის პირების უპასუხისმგებლო დამოკიდებულება გაგრის ტრაგედიისადმი. დაუსჯელობის მოთმენა აღარ შეიძლება. დროა, ახლა მაინც გაიგოს ხალხმა სიმართლე.

ვ) ლტოლვილების დაბრუნების შემდეგ, ჩვენი აზრით, უნდა შეიქმნას დროებითი სამხედრო მმართველობა არჩევნების ჩატარებამდე, ხოლო რაც შეეხება არჩევნებს, იგი უნდა ჩატარდეს ყოველგვარი კვოტების გარეშე.

ზემოაღნიშნული მდგომარეობის გადაუჭრელად დაუშვებლად მიგვაჩნია სოხუმში აფხაზი მოსახლეობის დაბრუნება. ყოველივე ამის არგათვალისწინება მოლაპარაკების პროცესში, გამოიწვევს უმართავ პროცესებს, რასაც შედეგად მოჰყვება სამხედრო დაპირისპირება.

ხელს აწერს 504 ლტოლვილი

ნომერში

- ოპტიმიზმის საფუძველი მაინც არის. 2
- ხევსურეთს უჭირს. 3

ედუარდ შევარდნაძემ მიიღო როლფ კნუტსენი

საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის თავმჯდომარემ — სახელმწიფოს მეთაურმა ედუარდ შევარდნაძემ მიიღო გაეროს გენერალური მდივნის პირადი წარმომადგენელი როლფ კნუტსენი.

ბატონმა კნუტსენმა გააცნო სახელმწიფოს მეთაურს მის მიერ გაწეული მუშაობის შედეგები. აღნიშნა, რომ იგი იმყოფებოდა ჯერ სოხუმში, შემდეგ გუდაუთაში, სადაც შეხვდა ადგილობრივ ხელმძღვანელობას. ბატონმა კნუტსენმა ხაზი გაუსვა იმ ფაქტის დიდ მნიშვნელობას, რომ ორივე მხარე დაინტერესებულია და პრაქტიკულად ახორციელებს საბრძოლო ტექნიკისა და ცოცხალი ძალის დაშორიშორებას. მან თქვა, რომ კიდევ ერთხელ დარწმუნდა გაეროს მეთვალყურეთა დამატებითი ჯგუფის კონფლიქტის ზონაში სასწრაფოდ ჩამოსვლის აუცილებლობაში, რაც აისახა კიდეც მის მიერ გაეროს გენერალური მდივნის სახელზე გუშინ გაგზავნილ მოხსენებაში. ბუტროს გალის პირადმა წარმომადგენელმა იმედი გამოთქვა, რომ გაერთიანებული ერების უშიშროების საბჭო გაითვალისწინებს მის რეკომენდაციებს, უმოკლეს ვადაში განიხილავს ამ საკითხს და შესაბამის რეზოლუციასაც მიიღებს.

სახელმწიფოს მეთაურმა მადლობა გადაუხადა ბატონ როლფ კნუტსენს გაწეული მუშაობისათვის. აღნიშნა, რომ გაეროს მეთვალყურეთა დამატებითი კონტინგენტის ჩამოსვლას დიდი მნიშვნელობა ენიჭება კონფლიქტის მშვიდობიანი მოწესრიგების საქმეში. იმედი გამოთქვა, რომ გაეროს უშიშროების საბჭო ოპერატიულად მიიღებს გადაწყვეტილებას, რომელიც კიდევ უფრო გაამყარებს კონფლიქტის ზონაში დაწყებულ სამშვიდობო პროცესს.

შეხვედრაზე განიხილეს აგრეთვე საქართველოში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეგიდით სამშვიდობო ძალების ჩამოსვლის შესაძლებლობა.

ედუარდ შევარდნაძე შეხვდა ჰეიდარ ალიევს

17 აგვისტოს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე — სახელმწიფოს მეთაური ედუარდ შევარდნაძე გზად აშგაბატიდან ბაქოში შეჩერდა, სადაც შეხვედრა ჰქონდა აზერბაიჯანის პრეზიდენტის უფლებამოსილებათა შემსრულებელთან, აზერბაიჯანის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარესთან ჰეიდარ ალიევთან.

მეზობელი ქვეყნების ლიდერებმა აზერბაიჯანსა და საქართველოში შექმნილი ვითარება დაახასიათეს, როგორც რთული და დაძაბული. აღინიშნა, რომ ორივე ქვეყნის ინტერესებშია სრული სტაბილურობის მიღწევა, როგორც აზერბაიჯანსა და საქართველოში, ასევე მთელს კავკასიაში, რის უზრუნველსაყოფად უფრო აქტიურად უნდა ამოქმედდეს კავკასიური ფაქტორი.

ედუარდ შევარდნაძემ ინფორმაცია მიაწოდა აზერბაიჯანის ხელმძღვანელს თურქმენეთში მისი ვიზიტის შესახებ, რომელსაც თავად მაღალი შეფასება მისცა. ორივე ლიდერმა გამოთქვა თურქმენეთის პრეზიდენტის საფარმურატ ნიაზოვის ინიციატივის მხარდაჭერა, რომ ოქტომბრის თვეში მოწვეულ იქნეს ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკების მეთაურთა საკონსულტაციო შეხვედრა.

ედუარდ შევარდნაძე ტელეფონით ესაუბრა ლევონ ტერ-პეტროსიანს

18 აგვისტოს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე — სახელმწიფოს მეთაური ედუარდ შევარდნაძე ტელეფონით ესაუბრა სომხეთის რესპუბლიკის პრეზიდენტს ლევონ ტერ-პეტროსიანს. საუბარი შეეხო თურქმენეთში ედუარდ შევარდნაძის ვიზიტის შედეგად ბუნებრივი გაზით საქართველოსა და სომხეთის უზრუნველყოფის, აგრეთვე ენერგომატარებლებისა და ზოგიერთი სხვა პროდუქციის საქართველოს ტერიტორიაზე გატარებასთან დაკავშირებულ საკითხებს.

სომხეთის პრეზიდენტი მიესალმა აფხაზეთში ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმების ამოქმედებას, ამ მიმართულებით გადადგმულ პირველ ნაბიჯებს. მხარეებმა გამოთქვეს მზადყოფნა მომავალშიც გაგრძელდეს კონსულტაციები ურთიერთსაინტერესო საკითხებზე.

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის განკარგულება

საჩხერის რაიონის გამგეობის თავმჯდომარის შესახებ

დაინიშნოს ცეზარი ლაშხი საჩხერის რაიონის გამგეობის თავმჯდომარედ.

განთავისუფლდეს მურად დეკანოიძე საჩხერის რაიონის გამგეობის თავმჯდომარის მოვალეობისაგან.

ე. შევარდნაძე.

მოსკოვში საქართველოს საელჩოს

სამოქალაქო მოძრაობამ „ერთობამ და კეთილდღეობამ" სადისკუსიო კლუბის სხდომაზე იმსჯელა ქართული მოსახლეობის დეპორტაციის ფაქტზე, რომელმაც აფხაზეთში ცეცხლის შეწყვეტის თაობაზე შეთანხმებას სერიოზული საფრთხე შეუქმნა.

„ერთობა და კეთილდღეობა" გმობს აფხაზი სეპარატისტების მიერ განხორციელებულ ამორალურ ქმედებას.

აუცილებელია მსოფლიო საზოგადოებრიობამ სათანადო შეფასება მისცეს საქართველოს ტერიტორიაზე ქართველთა დეპორტაციის ფაქტს.

მოძრაობა სთხოვს მოსკოვში აკრედიტებულ საქართველოს საელჩოს, უახლოეს ხანში მოიწვიოს დეპორტირებულ ქართველთა ჯგუფი და საგანგებო პრესკონფერენციაზე უცხოელ ჟურნალისტებს გააცნოს მათი მონათხრობი.

სამოქალაქო მოძრაობა „ერთობა და კეთილდღეობა".
16 აგვისტო, 1993 წელი.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" რედაქტორს

„**ჩემი** და ჩემი კოლეგების სახელით ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოდან, აგრეთვე ფრედ ვუდრუფის ოჯახისა და მეგობრების სახელით, ნება მომეცით მადლობა გადავუხადო საქართველოს ყველა მოქალაქეს, ჩვენს კოლეგებს სხვადასხვა საერთაშორისო გაერთიანებიდან, რომლებმაც გამოხატეს თავიანთი სამძიმარი და წუხილი ჩვენი კოლეგის ტრაგიკული დაღუპვის გამო. თქვენი თანადგომის გამოხატვა უსაზღვროდ დაგვეხმარა იმ მძიმე ჟამს. ულრმეს მადლობას გიძღვნით.

კენტ ბრაუნი,
ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი საქართველოში".

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის დადგენილება

საქართველოს რესპუბლიკაში მცირე სამეწარმეო საქმიანობის განვითარებისა და ხელშეწყობის ღონისძიებათა შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი აღნიშნავს, რომ მცირე სამეწარმეო საქმიანობა, როგორც შრომის ორგანიზაციის ეფექტური ფორმა, პასუხობს საქართველოს სოციალურ-ეკონომიკურ ინტერესებს და საჭიროებს ყოველმხრივ სახელმწიფო ხელშეწყობას.

საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე მცირე სამეწარმეო საქმიანობის განვითარებისათვის აუცილებელი ორგანიზაციული, ეკონომიკური და სამართლებრივი პირობების შექმნის უზრუნველყოფის მიზნით საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი ადგენს:

1. ჩაითვალოს მცირე საწარმოთა ქსელის განვითარება საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე, სამეწარმეო საქმიანობის სახელმწიფო ხელშეწყობის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მიმართულებად.

2. დაწესდეს, რომ მოქმედი საკანონმდებლო აქტების შესაბამისად საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე შეიძლება შეიქმნას ნებისმიერი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მცირე საწარმოები, რომლებიც უფლებამოსილი არიან განახორციელონ კანონმდებლობით ნებადართული ყოველგვარი სამეურნეო საქმიანობა.

3. მცირე საწარმოებს განეკუთვნებიან „სამეწარმეო საქმიანობის საფუძვლების შესახებ" საქართველოს რესპუბლიკის კანონით გათვალისწინებული ნებისმიერი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის (როგორც ახლად შექმნილი, ისე მოქმედი) საწარმოები, რომელთაც არ უკავიათ გაბატონებული მდგომარეობა დარგში და მომუშავეთა საშუალოსიობრივი რიცხოვნობა (ცალკეული დარგების მიხედვით არ აღემატება: მრეწველობასა და მშენებლობაში — 50 კაცს, ტრანსპორტზე — 40 კაცს, მეცნიერებაში, სამეცნიერო და სამედიცინო მომსახურებაში — 30 კაცს, სხვა დარგებში 20 კაცს.

მომუშავეთა საშუალოსიობრივ რიცხოვნობაში ჩაითვლებიან საწარმოს შტატში მყოფი მუშაკები, მათ შორის შეთავსებით მომუშავენი, აგრეთვე პირები, რომლებიც არ ირიცხებიან შტატში, მაგრამ სამუშაოებს ხელშეკრულების საფუძველზე ასრულებენ.

მრავალდარგოვანი საწარმოების დარგობრივი მიკუთვნება ხდება საქმიანობის იმ სახეობის მიხედვით, რომელსაც საწარმოს ჯამურ შემოსავლებში უდიდესი წილი უკავია.

4. მცირე საწარმოების სახელმწიფო ხელშეწყობის, ეკონომიკის აღნიშნულ სექტორში დაგროვილი სამეწარმეო პოტენციალის შემდგომი განვითარების სტიმულირებისა და რესპუბლიკის სამომხმარებლო ბაზრის მცირე საწარმოების ძალებით გაჯერების მიზნით საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკის სამინისტროსთან შეიქმნას მცირე სამეწარმეო საქმიანობის ხელშემწყობი რესპუბლიკური ფონდი, რისთვისაც საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკის სამინისტრომ საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტროსა და საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროსთან ერთად სხვა დაინტერესებული სამინისტროებისა და უწყებების მონაწილეობით ათი დღის ვადაში წარმოადგინოს მცირე სამეწარმეო საქმიანობის ხელშემწყობი რესპუბლიკური ფონდის წესდების შეთანხმებული პროექტი.

5. საქართველოს რესპუბლიკის კავშირგაბმულობის სამინისტრომ, ფინანსთა სამინისტრომ, იუსტიციის სამინისტრომ, საგარეო ეკონომიკურ ურთიერთობათა კომიტეტმა, სოციალურ-ეკონომიკური ინფორმაციის კომიტეტმა, ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის კორპორაციამ მოამზადონ წინადადებები სამეწარმეო საქმიანობის ინფორმაციული უზრუნველყოფის კომერციული სისტემის განვითარების ღონისძიებათა შესახებ, მათ შორის ინფორმაციის გავრცელების სახელმწიფო არხების გამოყენების გათვალისწინებით (ოფიციალური ბეჭდვითი გამოცემები, ტელევიზია, რადიომაუწყებლობა და ა. შ.).

6. საქართველოს რესპუბლიკის საგარეო ეკონომიკურ ურთიერთობათა კომიტეტმა, ეკონომიკის სამინისტრომ, ფინანსთა სამინისტრომ, საგარეო საქმეთა სამინისტრომ საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკის მონაწილეობით 1993 წლის 1 სექტემბრამდე შეიმუშაონ მცირე საწარმოების საგარეო ეკონომიკური საქმიანობის განვითარების ხელშემწყობ ღონისძიებათა სისტემა.

7. საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკის სამინისტრომ და სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტრომ დაინტერესებულ სამინისტროებთან და უწყებებთან ერთად 1993 წლის 1 ნოემბრამდე შეიმუშაონ მსხვილი საწარმოების რესტრუქტურიზაციის პოლიტიკა და შესაბამისი პროგრამა.

8. საქართველოს რესპუბლიკის განათლების სამინისტრომ, მეცნიერებისა და ტექნიკის კომიტეტმა, სოციალური უზრუნველყოფის, შრომისა და დასაქმების სამინისტრომ ეკონომიკის სამინისტროს მონაწილეობით უმოკლეს დროში გაუწიონ ორგანიზაცია საჭირო სპეციალისტების მომზადებას საზღვარგარეთ სტაჟირების ჩათვლით.

9. საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკის სამინისტრომ, მეცნიერებისა და ტექნიკის კომიტეტმა, დაინტერესებულმა სამინისტროებმა, კომიტეტებმა და ორგანიზაციებმა, მმართველობის ადგილობრივმა ორგანოებმა სამეცნიერო ორგანიზაციების მონაწილეობით ორგანიზაცია გაუწიონ 1993 წლის დასასრულისათვის სოციალური ადაპტაციისა და მეწარმეთა კადრების მომზადების უწყებათაშორისი საბჭოს შექმნას.

10. დაწესდეს, რომ მცირე საწარმოების სამეურნეო საქმიანობის დაბეგვრა წარმოებს საქართველოს რესპუბლიკაში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

დაევალოს საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტროს ეკონომიკის სამინისტროსთან შეთანხმებით ერთი თვის ვადაში წარმოადგინოს წინადადებები მცირე საწარმოების სამეურნეო საქმიანობის დაბეგვრაში შეღავათების სისტემის შემოღების შესახებ.

11. საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკის სამინისტრომ და ფინანსთა სამინისტრომ საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკის მონაწილეობით ერთი თვის ვადაში მოამზადონ წინადადებები ბანკების მიერ მცირე სამეწარმეო საქმიანობის დაკრედიტების შესახებ.

12. წინადადება მიეცეს მმართველობის ადგილობრივ ორგანოებს, დადგენილი წესით წარმოადგინონ რეკომენდაციები რეგიონის განვითარებისთვის პრიორიტეტული მნიშვნელობის მქონე ამოცანების გადასაწყვეტად მცირე საწარმოებისათვის ხელშეწყობის შესახებ.

13. საქართველოს რესპუბლიკის სამინისტროებმა და უწყებებმა, ავტონომიური რესპუბლიკების სამინისტროებმა და უწყებებმა, მმართველობის ადგილობრივმა ორგანოებმა ყოველმხრივ შეუწყონ ხელი მცირე საწარმოებსა და მათ კავშირებს მატერიალურ-ტექნიკური მომარაგებისა და ინფორმაციული უზრუნველყოფის საქმეში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

14. საქართველოს რესპუბლიკის სამინისტროებმა და უწყებებმა, ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა, მმართველობის ადგილობრივმა ორგანოებმა სისტემატურად შეისწავლონ, განაზოგადონ და გაავრცელონ მცირე საწარმოების შექმნისა და მათი საქმიანობის სამამულო და საზღვარგარეთული გამოცდილება.

ასი სტრიქონი პრესაზე

პლურალიზმი არაფერ შუაშია

გაზეთებმა ისე ინება, რომ გაჭირვების ჟამს ადამიანს ოპტიმიზმის უნარი არ დაუკარგა, — თუ არის იმედი გადარჩენისა და გამარჯვების გზაც არსებობს.

დღეს ჩვენს საზოგადოებას, როგორც არასდროს, ესაჭიროება ჟურნალისტური ჰუმანიზმი, თანადგომა და ნუგეში. სამწუხაროდ ამგვარი ტენდენცია ნაკლებად თუ შეიმჩნევა.

გასული კვირის პრესამ დაგვიდასტურა, რომ ჩვენი ჟურნალისტიკა მთლიანობაში გვარიანად სცოდავს საკუთარი მკითხველის წინაშე. საგაზეთო ფურცლებზე გამართული პოლიტიკური დებატები ბაგირის გადაწევას დაემსგავსა.

ეს ტენდენცია კარგად მოჩანს გაზეთ „დრონის" პუბლიკაციაში „შეჩერდით, თქვენი ჭირიმე!": „საქართველოს აქვს იმით რამ, რაც სამაგალითოდ გამოადგება მსოფლიოს სხვა ქვეყნებს. მაგალითად, შეგვიძლია მთელ მსოფლიოს დავუზუსტოთ ნებისმიერი რანგის მოღვაწისათვის სახელის გატეხის გამოცდილება. მეთოდებიც ნაირ-ნაირია: ბინძური ჭორების ხუმად გავრცელებით დაწყებული, უზომო ქებისა და მხარდაჭერისათვის მზადყოფნის საჯარო დეკლარირებით დამთავრებული".

ძნელია არ დაეთანხმო ავტორს. ქება-დიდებასა და ლანძღვაში არც ჩვენს პრესას მოეძებნება ბადალი. ამ მხრივ თავს არ ზოგავენ არც ბაგირის ერთ ბოლოში და არც მეორე ბოლოში მდგომნი.

„საქართველოს სამრეკლო" აცხადებს: „ტყუილად აქვს ვინმეს იმედი, რომ ჩვენ შევშინდებით, გავჩერდებით, დავიღლებით! ხალხის დაუმორჩილებელი სული, რომელიც თავის ეროვნული ღირსებისა და შთამომავლობის გადასარჩენად იბრძვის — არც დაიღლება და არც გაჩერდება!" ამ შესაშური პათოსით გამოთქმული სიტყვების ავტორს, ჩანს, „ხალხის დაუმორჩილებელ სულზე" გასჩენია პრეტენზია.

„იბერია-სპექტრში" წავაწყდით ჩვენი დროისთვის მეტად უჩვეულო დასახელების წერილს — „რაოდენ სასიხარულოა!". მკითხველისათვის უინტერესო არ იქნება გაიგოს, რა უხარია ასეთ დროს ავტორს: „ნაწვიმარ ცაზე ცისარტყელას გამოჩენას შევადარებდი „იბერია-სპექტრის" ყოველი ახალი ნომრის გამოსვლას, იგი გვეხმარება შევინარჩუნოთ სულის სიმტკიცე და რწმენა მომავლისა, რომ სულ მალე დაუბრუნდება საქართველოს თავისი საყვარელი პრეზიდენტი..."

გაუგებარია თუ რა უფრო ახარებს ამ სიტყვების დამწერს, ის რომ მისი საყვარელი გაზეთი დიდის მონდომებით აშუქებს, რა ცოდვისკენაც ტრიალებს საქართველოში და საზღვარს კი ვერაფერს გვთავაზობს, თუ ის, რომ მას „სულ მალე" დაუბრუნდება საყვარელი პრეზიდენტი. იქნებ, ორივე ერთად?!

ზემოთ ბაგირის გადამწევთა შესახებ მოგახსენეთ და გვინდა დავამატოთ, რომ ამ არც ისე მიმზიდველ პაექრობას ერთი ნაკლიც გააჩნია. ხშირად გამარჯვებულიც და დამარცხებულიც მიწაზე დანარცხებული აღმოჩნდებიან ხოლმე.

დაბოლოს, კიდევ ერთი პუბლიკაციის შესახებ. გაზეთ „უწყებანის" 12 აგვისტოს ნომერში გამოქვეყნდა წერილი „საქართველო XXI საუკუნის წინ", რომელშიც ის ობიექტურობა და იმედი დავინახეთ, ასე რომ აკლია ჩვენს დღევანდელ პრესას: „სად არის გზა, სად არის ხსნა? ეს მეტად რთული გადასაწყვეტია. არსებული მდგომარეობა პესიმისტურია, თუმცა, იმედიან განწყობას გვიქმნის იმ პიროვნებათა მოღვაწეობა, რომლებიც კეთილი საქმისთვის, ლამაზი მომავლისთვის უჩუმრად, უანგაროდ, ტაქტიანად იღვწიან და იხარჯებიან". ეს სიტყვები V კურსის სტუდენტს ეკუთვნის. ჩანს, ისიც ამჩნევს ცისარტყელას ნაწვიმარ ცაზე.

სამწუხაროდ, ადამიანებს არა აქვთ ერთნაირი მხედველობა და აქ პლურალიზმი არაფერ შუაშია, რადგან საქმე გვაქვს ფიზიკურ მოვლენასთან.

ვისი ცისარტყელაა ნამდვილი, და ვისი — მოჩვენებითი? ეს მკითხველმა განსაჯოს.

მასობრივი კომუნიკაციების კვლევის ლაბორატორია.

დემოგრაფიული პრობლემა— დემოგრაფიული პოლიტიკით.

ანუ მიწა ჩვენი არსობისა

თვალსაზრისი

დღევანდელ საქართველოში მიწის პრობლემის გადაჭრას და შესაბამისი საკანონმდებლო აქტის შემუშავებას ჩვენი ერისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს. არ შევცდებით, თუ ვიტყვით, რომ ქართველი ერის მომავლისათვის არცერთ კანონს ისეთი მნიშვნელობა არ ენიჭება, როგორც „საქართველოს საადგილმამულო კანონს".

„მამული, ენა, სარწმუნოება".

ვერცერთი ერი უმამულოდ ვერ იარსებებს . ვერც ქართველები ვიარსებებთ.

არადა, ჩვენი კანონმდებლები აშკარად ჩიხში მოექცნენ. თუ თვალს გადავავლებთ საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას, საკითხი თითქოს ნათელია. ყველა პარტია და პოლიტიკური ორგანიზაცია საბაზრო ეკონომიკის, თავისუფალი მეწარმეობის, მიწაზე კერძო საკუთრების მომხრე იყო. ეს ეხება როგორც პარლამენტში, ისე ცოტა ადრე, უზენაეს საბჭოში მოხვედრილ პარტიებს, მაგრამ ისიც ცხადია, რომ ვერც ხელისუფლებამ და ვერც ჩვენმა კანონმდებლებმა ვერ მოძებნეს ოპტიმალური გზა, სადაც ეროვნულ ინტერესებთან შეხამებული იქნებოდა ქვეყნის განვითარების კაპიტალისტური მოდელი.

ამ გზის მოძებნა სასიცოცხლოდ აუცილებელია.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" 28 მაისის ნომერში გამოქვეყნდა პროფესორების — თენგიზ ჩხეიძის, ოთარ საღარეიშვილის, რამინ რამიშვილის, ალექსანდრე ბენდიანიშვილის, ლევან ფრუიძის, ტიტე ჩიქოვანის მიმართვა საქართველოს პარლამენტის წევრებისადმი — „გთხოვთ, მხარი დაგვიჭიროთ".

წერილი ადასტურებს ჩვენს მოსაზრებებს, რომ ქვეყნის კანონმდებლები ჩიხში მოექცნენ, მისი ავტორები ამასთანავე გვამცნობენ, რომ მოკლე ხანში პარლამენტის სხდომაზე დასამტკიცებლად გამოვა „საქართველოს რესპუბლიკის საადგილმამულო კანონი" და, ითხოვენ, რომ პარლამენტმა მხარი დაუჭიროს ამ პროექტს.

ავტორები შეშფოთებას გამოხატავენ მიწის კერძო საკუთრებაში გადაცემის, მისი ყიდვა-გაყიდვის დაკანონების შემთხვევაში ჩვენი ეროვნული განვითარების მოსალოდნელი შედეგების გამო. „ეჭვგარეშეა, რომ მიწის ყიდვა-გაყიდვა კიდევ უფრო გააუარესებს ისედაც სავალალო ეთნიკურ მდგომარეობას, რაც დამღუპველია ჩვენი ერისათვის" — წერენ ისინი.

ჩვენ კარგად გვესმის პატივცემული ავტორების გულისთქმა, მაგრამ ვერ დავეთანხმებით მათ, რომ „ამ რთული მდგომარეობიდან თავის დაღწევის ერთადერთი გზა იჯარაა". სამწუხაროდ, იჯარა საქმეს ვერ უშველის. ავტორები შესანიშნავად ხედავენ, თუ რა უარყოფითი შედეგები შეიძლება მოიტანოს მიწის ყიდვა-გაყიდვამ ჩვენი ერისათვის ესოდენ რთული დემოგრაფიული ვითარების პირობებში, მაგრამ ვერც იმას უარვყოფთ, რომ სიმართლეს შეესაბამება დეპუტატების ერთი ნაწილის აზრი — მსხვილი კაპიტალისტურ-ფერმერული მეურნეობის გამართვა მაღალგანვითარებული და ცივილიზებული ქვეყნის მშენებლობის ერთ-ერთი პირობაა; ისიც ცხადია, რომ მეურნეობის იჯარული ფორმა სრულებითაც ვერ ცვლის იმ ვითარებას, რაც ასე აწუხებთ ავტორებს და ჩვენს საზოგადოებრიობას.

„ხომ არ აჯობებს, მივხედოთ არსებულს და მათ ბაზაზე შევქმნათ თანამედროვე ფერმერული მეურნეობები?" — კითხულობენ ავტორები.

არსებულს მიხედვა რომ უნდა, ორი აზრი არ შეიძლება არსებობდეს, მაგრამ, განა ამ ფორმით მიწების გაცემის შემთხვევაში მიწის ფაქტობრივი მფლობელი იგივე არ დარჩება? მაშასადამე, პატივცემულ ავტორებს ერთი მხრივ აშინებთ მიწის კერძო საკუთრება, მისი ყიდვა-გაყიდვის დაკანონება, მისგან გამომდინარე უარყოფითი შედეგები და ვერც შემოთავაზებული მეურნეობის იჯარული ფორმით გვაცილებენ ამ საშიშროებას, მის წინააღმდეგაც, ალბათ, ერთად უნდა ვიბრძოლოთ. მაშასადამე, მიწაზე კერძო საკუთრება იქნება თუ იჯარული მეურნეობა, ეს პრობლემის არსს ვერ ცვლის.

მიწის პრობლემა ჩვენი ერისთვის კვლავ გადასაწყვეტი რჩება.

ქართული მიწა იყიდება — რეკდა ზარებს საქართველოს დემოგრაფიული საზოგადოება. იყიდებოდა მიწა სწორედ მაშინ, როცა იგი სახელმწიფო საკუთრება იყო. ასე რომ, მხოლოდ სახელმწიფო საკუთრებად მისი გამოცხადება მიწის ყიდვა-გაყიდვის ტენდენციას ვერ მოშლის.

* * *

დღეს ყველაზე მეტად გვიპყრობს **ქართული სახელმწიფოებრივი აზროვნება.** დავურიგეთ ქალაქის მოსახლეობას სოფელში ადგილები, საკარმიდამო ნაკვეთები და რაც მივიღეთ, ნათლად ვხედავთ.

ადრე არ შეგვეძლო განგვესაზღვრა მოსალოდნელი შედეგები?

სად, რომელ ქვეყანაში გადაწყდა მიწების პრობლემა ქალაქიდან მოქნეული თოხით?

სად, რომელ ქვეყანაში აყარეს ხალხი ერთი მშობლიური კუთხიდან ასე მასობრივად და ჩაასახლეს უწყლო, უსინათლო, უტრანსპორტო, უკომუნიკაციო გარემოში ქვეყნის ასაშენებლად?

ჩვენ ორი მაგალითი ვიცით. ამერიკელი ინდიელებისა და დეპორტირებული საბჭოთა ხალხისა.

ორივეს ბედიც ვიცით!

არც ერთი ეს ხალხი ქვეყნის ასაშენებლად არ აუყრიათ მშობლიური კუთხიდან.

* * *

მაშ რა გზას დავადგეთ? სად ვუშვებთ შეცდომას და სად არის გამოსავალი?

პასუხი სრულიად მარტივია და ცალსახა. იმის წამალი უნდა მიიღოს ავადმყოფმა, რა სატკივარიც სჭირს.

ჩვენი ავადმყოფობა ჩვენი ერის უაღრესად რთული დემოგრაფიული ვითარებაა და, აქედან გამომდინარე, გამოსავალიც სწორ დემოგრაფიულ პოლიტიკაში უნდა ვეძიოთ. ის ფორმები და მეთოდები შევარჩიოთ, რაც დემოგრაფიული პოლიტიკისათვისაა მისაღები და მისგან მომდინარეობს.

ქართული სახელმწიფოებრივი აზროვნება გვკარნახობს შეუფერდოთ დემოგრაფიული იდეოლოგია სახელმწიფოებრივი წყობის დემოკრატიულ ინსტიტუტებს.

სამწუხაროდ, ჩვენ უგულებელვყოფთ დემოგრაფიულ პოლიტიკას და შემდეგ გვიკვირს დემოგრაფიული პოლიტიკის თვალსაზრისით რატომ იძენს ჩვენთვის საშიშ მიმართულებას ესა თუ ის კანონპროექტი.

საქართველოს დემოგრაფიულმა საზოგადოებამ ამ საკითხზე და მისგან გამომდინარე მოსალოდნელ უარყოფით შედეგებზე ბევრად ადრე გაამახვილა ყურადღება. ჯერ კიდევ 1992 წლის 14 მაისს გაზეთ „კაბადონში" გამოქვეყნებულ ბატონ ედუარდ შევარდნაძისადმი მიმართულ ღია წერილში აღვნიშნავდით:

საქართველოს წინაშე მდგომი პოლიტიკური, სოციალური თუ ეკონომიკური ამოცანების გადაჭრისას გვერდს ვერ აუვლით დემოგრაფიულ პრობლემას.

მივიჩნევთ, რომ მეცნიერულად დასაბუთებული დემოგრაფიული პოლიტიკა უნდა დაედოს საფუძვლად საქართველოს პოლიტიკური, სოციალური თუ ეკონომიკური განვითარების პროგრამებსა და საკანონმდებლო აქტებს... სამწუხაროდ, დემოგრაფიული პოლიტიკა, რომელიც, ჩვენი ღრმა რწმენით, XXI საუკუნის საქართველოს მთავარი იდეოლოგია უნდა იყოს, კვლავ იგნორირებულია ჩვენი ხელისუფლების მიერ მომზადებულ პროექტებსა და საკანონმდებლო აქტებში.

ამის მაგალითია საქართველოს დროებითი მთავრობის მიერ მომზადებული დადგენილება — „საქართველოს რესპუბლიკაში ეკონომიკური რეფორმის ძირითადი მიმართულებანი (პირველი ეტაპი)". (გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა" 9. 05. 1992 წ.).

ამ უმნიშვნელოვანეს დოკუმენტში არა თუ ნახსენები არ არის დემოგრაფიული პოლიტიკა, არამედ შემოთავაზებულია ეკონომიკური რეფორმის ის მოდელი, რომელიც მთლიანად შლის დემოგრაფიული პოლიტიკის მექანიზმს. უფრო ადრე ასეთივე პოლიტიკაა გატარებული მეორე მნიშვნელოვან დოკუმენტში მიწის ნაწილობრივი პრივატიზაციის შესახებ.

საქართველოს დემოგრაფიული საზოგადოების პრეზიდიუმს სრულიად დაუშვებლად და დანაშაულად მიაჩნია ამ აქტების ამოქმედება დემოგრაფიული პოლიტიკის სწორი მიმართულებით წარმმართველი მექანიზმების აუმუშავებლად. ჩვენ ვთვლით, რომ დღევანდელ ისტორიულ ეტაპზე საჭიროა მივიღოთ ისეთი საადგილმამულო კანონი, რომელიც აღიარებს მიწაზე საკუთრების სამ ფორმას:

სახელმწიფო საკუთრებას, საზოგადოებრივ საკუთრებას, კერძო საკუთრებას.

ჩვენ ყურადღებას გავამახვილებთ მიწაზე საზოგადოებრივი საკუთრების საკითხზეც. საქართველოს დემოგრაფიულმა საზოგადოებამ უკვე რამდენჯერმე დააყენა საქართველოს მთავრობის წინაშე საზოგადოებისათვის „არქიპელაგის მეთოდით" თითოეულ რაიონში გარკვეული რაოდენობის მიწის ნაკვეთებისა და მასთან დაკავშირებული საწარმოების ნაწილის გადაცემის საკითხი.

28 აპრილს დემოგრაფიული საზოგადოების პრეზიდიუმმა წერილით მიმართა საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის თავმჯდომარეს — სახელმწიფოს მეთაურს ბატონ ედუარდ შევარდნაძეს და საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრს ბატონ თენგიზ სიგუას. წერილში აღნიშნულია, რომ საქართველოს დემოგრაფიულმა საზოგადოებამ მიწათსარგებლობისა და მიწათმოწყობის მთავარ სამმართველოსთან ერთად, ჯერ კიდევ 1990 წელს დაამუშავა მოსახლეობის კომპაქტური დასახლების პირობებში დემოგრაფიული პოლიტიკის ფორმები და მეთოდები, რომელსაც პირობითად „არქიპელაგის მეთოდი" ვუწოდეთ.

„არქიპელაგის მეთოდის" უპირატესობა სხვა პროექტებთან მიმართებაში ცხადად იკვეთება:

1. საქართველოს ტერიტორიაზე ქმნის დემოგრაფიული პროცესების მართვის საფუძვლებს და ერთიანი დემოგრაფიული (ხალხთმოსახლეობის) პოლიტიკის ჰარმონიულ ბადეს.

2. არ არის მიმართული რომელიმე ეროვნების მოქალაქეთა წინააღმდეგ. ისინი მიწას მიიღებენ კანონის შესაბამისად.

3. საქართველოს დემოგრაფიული საზოგადოებისათვის „არქიპელაგის მეთოდით" მიწების და მის დამუშავებასთან დაკავშირებული საწარმოების ნაწილის გადმოცემა საკუთრების სხვა ფორმებთან საზოგადოებრივი საკუთრების თანასწორუფლებიანობის გარანტი იქნება.

4. დემოგრაფიულ საზოგადოებას მიაჩნია, რომ საქართველოს თავდაცვისა და შინაგან საქმეთა სამინისტროებთან ურთიერთთანამშრომლობით მოგვარდება შრომითი რესურსებით ამ მეურნეობათა უზრუნველყოფის პრობლემა, რაც თავისთავად უნდა აისახოს როგორც ამ სამინისტროების შესაბამის ბიუჯეტზე, ისე რესპუბლიკის ეკონომიკურ მდგომარეობაზე.

5. „არქიპელაგის მეთოდის" გამოყენება ჩვენს კანონმდებლებს საშუალებას მისცემს, შედარებით უმტკივნეულოდ, დემოგრაფიული ვითარების რაიმე მნიშვნელოვანი გაუარესების გარეშე, შემოიღონ მიწაზე კერძო საკუთრება და მიიღონ შესაბამისი კანონი.

ამჟამად ეს საკითხი საქართველოს მინისტრთა კაბინეტმა განსახილველად გადაუგზავნა შესაბამის სამინისტროთა ხელმძღვანელებს და, ვფიქრობთ, რომ მის საფუძვლიან განხილვამდე რაიმე კონკრეტული კანონის მიღება მიწის შესახებ ახალ წინააღმდეგობათა წინაშე დაგვაყენებს. ბოლოს დავძენთ, რომ სწორი დემოგრაფიული პოლიტიკის მამოძრავებელი მექანიზმების აუმუშავებლად მიწაზე ყოველგვარი საკანონმდებლო აქტის შემოღება დაუშვებელია.

მიხეილ ქურდიანი,
საქართველოს დემოგრაფიული საზოგადოების პრეზიდენტი;

ილია ბებიაშვილი,
საქართველოს დემოგრაფიული საზოგადოების ვიცე-პრეზიდენტი;

ავთანდილ სულაბერიძე,
საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დემოგრაფიისა და სოციოლოგიური კვლევის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე.

ჩვენი ეკონომიკა: ოპტიმიზმის საფუძველი მაინც არის

საქართველოს რესპუბლიკის სოციალურ-ეკონომიკური ინფორმაციის კომიტეტმა ამ დღეებში დაასრულა მოხსენება, რომელიც ეხება წლის პირველ ნახევარში სახალხო მეურნეობის განვითარების შედეგებს. მოქმედი ფასების შესაბამისად, მრეწველობის საერთო პროდუქციის მოცულობამ 118 მილიარდი მანეთი შეადგინა და შარშანდელთან შედარებით 29 პროცენტით შემცირდა. როგორც აღნიშნული მოხსენების დანართიდან ჩანს, ამ მხრივ კიდევ უფრო უარესი მდგომარეობაა ყოფილი სსრ კავშირის რიგ რესპუბლიკებში. ასე, მაგალითად, სომხეთში წარმოებული სამრეწველო პროდუქცია წინა წლის ექვსი თვის მაჩვენებლის ნახევარიც არ არის — მხოლოდ 48,6 პროცენტს შეადგენს, რუსეთში კი იგივე მაჩვენებელი 18 პროცენტით არის შემცირებული.

რესპუბლიკის მრეწველობიდან შედარებით უკეთესი სურათია პოლიგრაფიასა და ქიმიურ მრეწველობაში. პირველში წარმოების მოცულობა 9,2 პროცენტით არის გადიდებული, მეორეში კი 8,2 პროცენტით. დანარჩენ ქვედარგებში უფრო მძლავრობენ კრიზისული მოვლენები. სათბობ მრეწველობაში, მაგალითად, წარმოება ერთი-სამად დაეცა, მანქანათმშენებლობაში — ერთი-ორად, ხოლო კვების მრეწველობაში — 13 პროცენტით შემცირდა.

და მაინც, კრიზისულმა მოვლენებმა ყველაზე უარყოფითი გავლენა სურსათ-სანოვაგეზე მოახდინა. 1990 წლის ექვს თვეში რესპუბლიკის მოსახლეობის ერთ სულზე გაანგარიშებით წარმოებული იყო 67,5 კილოგრამი პური და ფუნთუშეული, წელს 51 კილოგრამია გამოშვებული. თუ მაშინ ერთ სულზე 6,1 კილოგრამი ხორცეული ვაწარმოეთ, წელს ეს მაჩვენებელი 0,1 კილოგრამს (!) არ აღემატება, თუ მაშინ 11,8 ლიტრი მინერალური წყალი გამოვუშვით, წელს იგი 0,55 ლიტრს შეადგენს.

რეგიონული თვალსაზრისით ყველაზე მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდნენ ჭიათურის ფაბრიკა-ქარხნები და მაღაროები. აქ 86 პროცენტით შემცირდა წარმოება. აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში წარმოების დაქვეითებამ 67 პროცენტი შეადგინა. ეს, როგორც ირკვევა, ძირითადად ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის წილად მოდის. იგი ახლა მხოლოდ 20-25 პროცენტის დატვირთვით მუშაობს. სავალალო ვითარებაა ხაშურის, ახალქალაქის, დმანისისა და სხვა რაიონების მრეწველობაში.

მიმდინარე ეკონომიკურმა კრიზისმა საზოგადოებრივი წარმოების ყველა სფერო მოიცვა. ამის ნათელი გამოხატულებაა ერთობლივი ეროვნული პროდუქტი, რომლის წარმოება ყველაზე ნათლად და ზუსტად განსაზღვრავს ნებისმიერი ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონეს. საქართველოს მოსახლეობის ერთ სულზე გაანგარიშებით მისი წარმოება შეადგენდა: კრიზისის საწყის, ე. ი. 1989 წელს 1640 დოლარს, შარშან კი ერთორად ნაკლებს — 850 დოლარს. დროის ასეთ მცირე მონაკვეთში ამგვარი რამ არ ხდება. ჩვენი საუკუნის ერთ-ერთი დიდი, 1973-1975 წლების საერთო კრიზისის დროს მსოფლიო სამრეწველო წარმოების დაცემის „საშუალო სიღრმე" 11 პროცენტს არ აღემატებოდა, მისი ხანგრძლივობა კი დაახლოებით ექვს თვეს უდრიდა, მაგ., ამერიკის შეერთებულ შტატებში მაშინ მიმდინარე დეპრესიას ერთი წელიც არ დასჭირვებია — მალე შეიცვალა ჯერ გამოცოცხლებით, მერე კი აღმავლობით.

და ერთიც, ჩიხში მიმდინარე კრიზისმა ერთბაშად მოშალა საგარეო-სავაჭრო ურთიერთობები. არადა მის საწყის ეტაპზე, კერძოდ, 1988 წელს რესპუბლიკაში შემოტანილი მატერიალური დოვლათის საერთო ღირებულება, მაშინდელი შეფასებით, ექვსი მილიარდ 118 მილიონი მანეთის ტოლფასი იყო, გატანილი საქონლის რაოდენობა კი ხუთი მილიარდ 610 მილიონ მანეთს შეადგენდა. ამასთან ყოფილ სსრ კავშირის რესპუბლიკებში უფრო მეტი გაგვქონდა (5,5 მლრდ. მან), ვიდრე მათგან შემოგვქონდა (5,2 მლრდ. მან.). ეს იმას ნიშნავს, რომ ექსპორტ-იმპორტში არსებული უარყოფითი სალდო, რაც 508 მილიონ მანეთს (6118-5610) უდრიდა, გამოწვეული იყო საზღვარგარეთის ქვეყნებთან ვაჭრობის შედეგად.

„საქართველოს რესპუბლიკის" მკითხველებს მინდა შევახსენო ჩვენი პირველი, სპეციალური პუბლიკაცია, რომელიც დაწყებული კრიზისის სიმწვავეს შეეხებოდა. მაშინ 1991 წელს „ძნელბედობის წელი" ვუწოდეთ („სრ", 12. III. 92), 1992 წლის შედეგების ანალიზმა კი მათქმევინა, რომ იგი **„იყო მძვინვარე სამეურნეო კრიზისის, ინფლაციის, წარმოების მოცულობის სოციო შემცირების, ცხოვრების მკვეთრი გაუარესების წელი** („სრ", 4. 11. 93).

კვლავ მძიმე სამეურნეო და საფინანსო ვითარება სუფევს სოფლის მეურნეობაში. ხვნა-თესვის პროცესში არსებულმა ნაკლოვანებებმა უკვე „იჩინა თავი". 1 ივლისისათვის აღებული და გალეწილი ფართობიდან (1952 ჰა) მიღებული საშუალო საჰექტარო მოსავლიანობა 19 ცენტნერს არ აღემატება და წინა წლის შესაბამის პერიოდში არსებულ მაჩვენებელთან შედარებით 69 პროცენტით ნაკლებია.

წლევანდელ 1 ივლისის მდგომარეობით „მომუშავე" საზოგადოებრივ მეურნეობებში არსებული მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის რაოდენობა 1989 წელთან შედარებით 4-ჯერ შემცირდა, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით კი 55 პროცენტით მოიკლო.

ყოველივე ამისა და კიდევ სხვა მიზეზების გამო, შეუქცევლად მცირდება როგორც მეცხოველეობის პროდუქტების წარმოება, ისე მისი პროდუქტიულობა და მიწოდება. ყოველივე ეს, თავის მხრივ, მეტად უარყოფითად მოქმედებს ქვეყნის საგარეო ეკონომიკურ კავშირურთიერთობებზე, უპირველეს ყოვლისა კი, სავაჭრო საქონელბრუნვაზე. მკვეთრად არის გამოკვეთილი რუსეთთან სავაჭრო ურთიერთობის შემცირების სურათი. მიმდინარე წლის პირველ კვარტალში ამ ქვეყნის იმპორტმა ჩვენი საგარეო საქონელბრუნვის მხოლოდ 0,4 პროცენტი შეადგინა (!). მნიშვნელოვნად შემცირდა აგრეთვე ექსპორტი. ახლა საგარეო სავაჭრო ბრუნვაში უფრო მაღალი ხვედრითი წილით გამოირჩევიან თურქმენეთი და ყაზახეთი.

საშინაო და საგარეო ეკონომიკურ ურთიერთობათა სფეროში მიმდინარე რღვევის პროცესმა დიდი საფრთხე შეუქმნა ქვეყნის ისედაც დაუძლურებულ სახელმწიფო ბიუჯეტს. ამა წლის ხუთი თვის მანძილზე მისმა საშემოსავლო ნაწილმა დაახლოებით 50 მილიარდი მანეთი შეადგინა, ხარჯებმა კი 54 მილიარდს გადააჭარბა. მისი დიდი დეფიციტის გამო სრულად ვერ მიიღეს კუთვნილი სახსრები სოციალურად დაუცველმა ფენებმა. ასე, მაგალითად, მარტოხელა დედებმა და ნაკლებად უზრუნველყოფილ ოჯახებს წინასწარ გათვალისწინებული 109 მილიონი მანეთის ნაცვლად მიეცათ მხოლოდ 74,6 მილიონი მანეთი (კუპონი). განვლილი ექვსი თვის განმავლობაში ნაღდი ფულის საკასო ბრუნვამ 121 მილიარდი მანეთი შეადგინა, რაც ნავარაუდევზე 42 პროცენტით მეტია. ასეთმა დიდმა სხვაობამ გამოიწვია ნაღდი ფულის **ემისიის აუცილებლობა,** რამაც, ექვს თვეში 87 მილიარდს გადააჭარბა და 28-ჯერ და მეტად გადიდდა წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით.

წელს, ისევე როგორც ბოლო წლებში, **კვლავ მატულობს მოსახლეობის ე. წ. დაუკმაყოფილებელი მოთხოვნის მოცულობა და მასშტაბი.** ამის ერთ-ერთი ნათელი გამოხატულებაა საბანკო სისტემის დაწესებულებებში არსებული ანაბრების („დანაზოგების") ზრდა. პირველი ივლისისათვის მისი ოდენობა 28 მილიარდს გაუტოლდა და წინა წლის იმავე პერიოდისათვის არსებულს 7,5 მილიარდით გადააჭარბა.

სტატისტიკოსთა მიერ თავმოყრილი და შეჯერებული მასალები იმასაც გვამცნობს თუ როგორ **გაუარესდა სამომხმარებლო ბაზარი კუპონების შემოღება-ამოქმედების შემდეგ.** არადა, 7 ივლისის მდგომარეობით საბჭოთა და რუსეთის მანეთს ვითომდა გათანაბრებული კუპონი მასზე ხუთჯერ და უფრო მეტად იყო გაუფასურებული, ამასთან ერთი ამერიკული დოლარი 5700 კუპონი „ღირდა".

მოსახლეობის ცხოვრების დონეზე არანაკლები სიმწვავით მოქმედებს შრომითი რესურსების გამოუყენებლობის, ე. ი. დაუსაქმებლობის გაუმართლებელი ზრდა. შრომის ბირჟაზე რეგისტრირებულმა ამგვარი მოქალაქეების რაოდენობამ 125 ათას კაცს გადააჭარბა, აქედან 21 პროცენტზე მეტი უმუშევრობის სტატუსის მქონე მოქალაქე იყო.

მიმდინარე წლის პირველ კვარტალში **ერთი ოჯახის საშუალო თვიური შემოსავალი 12 ათას მანეთს უდრიდა,** მაშინ როცა **თებერვალში სილატაკის ზღვარი 24 ათასი მანეთით განისაზღვრებოდა.** ამ სხვაობამ კიდევ უფრო „იმძლავრა" მეორე კვარტალში. ამის გამო ახლა მოსახლეობის 90-95 პროცენტი, ფაქტობრივად, სილატაკის ზღვარს მიღმა იმყოფება.

დაბოლოს, ორიოდე სიტყვა დამნაშავეთა „სამყაროს", ე. ი. სასამართლო სტატისტიკის შესახებ. სათანადო ორგანოებში არსებული მონაცემების მიხედვით, განვლილი ექვსი თვის მანძილზე დაკავებული იქნა 1030 ჯგუფი, რომლებშიც გაერთიანებული იყო 2800 კაცი (დამნაშავე). ახლა რესპუბლიკის ტერიტორიაზე დანაშაულთა გახსნის მაჩვენებელი 46 პროცენტს უდრის. საგამოძიებო იზოლატორებში, ციხეებსა და კოლონიებში მოთავსებულ ბრალდებულთა და პატიმართა რიცხვი 1736 კაცით ანუ 30 პროცენტით გაიზარდა. გამოვლენილია მილიარდობით მანეთის გაფლანგვა-განიავების, დატაცებისა და კონტრაბანდის გზით უცხოეთში გატანის სამარცხვინო ფაქტები.

თუმცა, მძიმე კრიზისის მიუხედავად, წლის მეორე ნახევარში ოპტიმიზმის საფუძველი მაინც არსებობს. პოლიტიკური სტაბილიზაციის ერთგვარი გაუმჯობესების გარდა, რაც, უპირველეს ყოვლისა, აფხაზეთში ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმებასთან არის დაკავშირებული, 3 აგვისტოდან კუპონი გამოცხადდა ერთადერთ კანონიერ სავაჭრო-საგადამხდელო საშუალებად, რამაც ხელი უნდა შეუწყოს ეკონომიკაში კრიზისული მოვლენების შეჩერებასა და გამოცოცხლება-აღმავლობის დაწყებას.

ახლა ყველამ ყველაფერი უნდა ვიღონოთ იმისათვის, რომ მიმდინარე გაჭიანურებული კრიზისი ქრონიკულ სნეულებად არ გადაგვექცეს.

კლიმენტი ელიზბარაშვილი,
ეკონომიკური მიმომხილველი.

ეს ჩვენი საქართველოა!



სვანეთის კოშკები

ზურაბ დათუაშვილის ფოტოგრაფია.

სარედაქციო ფოსტიდან

თუ ზედა ეშელონებში წესრიგი არ დამყარდა...

რუსეთთან კავშირის გაწყვეტამ დღეს ჩვენი ქვეყნის ყველა საწარმოს ერთი და იგივე პრობლემა შეუქმნა. ძველი ინერციით, ძველი კონტაქტებით თუღა ვახერხებთ ნედლეულის შემოტანას, თორემ შვიდ თვეში 500 მილიონის ნაცვლად 100 მილიონი მანეთის კი არა, ერთი კუპონის პროდუქციასაც ვერ შევქმნიდით.

არ მესმის, თუ უკრაინასთან დავდეთ ხელშეკრულება, რატომ არ უნდა დავდოთ ისეთნაირი ხელშეკრულება რუსეთთან? მაზნებარე ოპონენტებმა ამაზე დღემდე რატომ ვერ მოგვცეს მოტივირებული პასუხი?

თუმცა მეორეს ვინ ჩივის, ნეტავ პირველი გადადგმული ნაბიჯის შედეგები მაინც გვენახა! უკრაინასთან ხელშეკრულება ქაღალდზე რომ დარჩა, ამის დასტურია თუნდაც ის ფაქტი, რომ ქარხნის ნედლეულისათვის სამჯერ ვიყავი ამ რესპუბლიკაში, და ვერაფერს მივაღწიე.

ჩემი აზრით, ჩვენს ზედა ეშელონებში თუ არ დამყარდება წესრიგი, თუ ყველამ არ იგრძნო პასუხისმგებლობა ქვეყნისა და ხალხის წინაშე, მარტო სახელმწიფოს მეთაური დაშლილ ქვეყანას ვერ შეადუღაბებს.

დაიწყო სახალხო მოძრაობა „დემოკრატიული საქართველოს" სახელით. კარგი დასაწყისი საქმის ნახევარია, მაგრამ პრაქტიკული ნაბიჯები დროულად უნდა გადაიდგას, რომ საქმეს თავი დავშველოთ.

წესრიგი იქნება სამთავრობო სტრუქტურებში? — ხელშეკრულების რეალიზების შედეგად გვექნება ნედლეულიც, თუ რკინიგზას მოუვლება — დროულად და უსაფრთხოდ შემოვა იგი, თუ ქალაქის ტრანსპორტი ინტენსიურად ამუშავდა — მუშა დროულად მოვა ქარხანაში. მაშინ, მოცდენაც არ იქნება, და მარტო ჩვენი ქარხანა წელიწადში 6 მილიარდი კუპონის პროდუქციას და შესაბამისად — მოგებასაც მისცემს ქვეყანას.

თედო გოგნაძე,
თბილისის გაზის აპარატურის ქარხნის დირექტორი.

სპეციალისტები უნდა აღვზარდოთ

საქართველო ამჟამად დიდი ენერგეტიკული პრობლემების გადაწყვეტის წინაშე დგას. ქვეყნის სათბობ-ენერგეტიკული ჩამორჩენა და მისი განვითარების მცდარი მიმართულება განსაკუთრებით ნათლად გამოვლინდა ახლა, როცა რუსეთმა ენერგეტიკული ბლოკადა მოგვიწყო.

დღეს მსოფლიოში ნახშირს მიიჩნევენ მრეწველობის მთელს რიგ დარგებში ნავთობის მთავარ შემცვლელად და ენერგეტიკული პრობლემის გადაჭრის ძირითად საშუალებად. ნახშირის გამოყენება ენერგეტიკაში ყველაზე უფრო ხელსაყრელია იმ შემთხვევაში, როდესაც ნახშირის გადამუშავება-მოპოვების თბოელექტროსადგურებში მისი წვისა და წვის ნარჩენების მრეწველობაში გამოყენების პროცესები გაერთიანებულია ერთიან სამრეწველო კომპლექსში და ეს კომპლექსი მაქსიმალურადაა მიახლოებული შახტებს.

საქართველო რთულ გეოლოგიურ პირობებში განლაგებული ნახშირის მნიშვნელოვან მარაგს ფლობს ტყიბული-შაორის, ტყვარჩელისა და ახალციხის რაიონებში. რესპუბლიკის მთავრობამ ქვეყანაში არსებული ეკონომიკური და ენერგეტიკული კრიზისიდან გამოსასვლელად დასახა ღონისძიება და მიიღო დადგენილება „საქართველოს რესპუბლიკის ქვანახშირის მრეწველობის განვითარების შესახებ", სადაც 2010 წლისათვის გათვალისწინებულია 2,2 მილიონი ტონა ნახშირის მოპოვება. ზოგიერთის აზრით ეროვნული ეკონომიკური კრიზისიდან თავის დასაღწევად ეს არასაკმარისია. მიაჩნიათ, რომ სავსებით შესაძლებელია ნახშირის მოპოვება საქართველოში 6 მილიონ ტონამდე (წელიწადში) გაიზარდოს.

დასახული ამოცანების განხორციელება უპირველესად დაკავშირებულია სამთო საქმის სრულყოფილი სპეციალისტების მომზადებასთან. ცნობილია, რომ ჩვენი სპეციალისტები ბრწყინვალედ ართმევდნენ თავს ნახშირის ამოღებისა და შახტების მშენებლობის საქმეს რესპუბლიკაში და მის ფარგლებს გარეთაც, მაგრამ სამუშაოების მოცულობათა შემცირების გამო, სამთო საქმის მრავალმა სპეციალისტმა მიატოვა თავისი საყვარელი პროფესია და სხვა დარგში დაიწყო მუშაობა. მათი შემობრუნება სამთო საქმისაკენ, რა თქმა უნდა, დიდ სიძნელეებთან იქნება დაკავშირებული.

ისიც ცნობილია, რომ შრომის ბირჟა ერთობ დაბალ ანაზღაურებას სთავაზობს სამთო ინჟინერს.

როგორ მოვიქცეთ? ფაქტია, რომ ქვეყნის ეკონომიკური და ენერგეტიკული კრიზისიდან თავის დაღწევა საკუთარი სამთო საქმის სრულყოფილი სპეციალისტების გარეშე შეუძლებელია. ამიტომ უნდა ვიზრუნოთ მათი აღზრდისათვის. საამისოდ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამთო გეოლოგიური ინსტიტუტის სასწავლო შახტა-ლაბორატორიაში ყველა პირობაა შექმნილი სხვადასხვა სპეციალობის სტუდენტთა პრაქტიკული მეთოდით სწავლებისათვის.

გოგი დიდიძე,
სამთო ინჟინერი, ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი.

სარედაქციო ფოსტიდან

თუ ხევსურეთი

დაიცალა...

„ნეტა არის სხვა ისეთი
ღვთისა და კაცის
მიერ დავიწყებული მხარე,
როგორც ხევსურეთი?"

ვაჟა.

ზემოთ მოტანილი სიტყვები ვაჟამ 1891 წელს თქვა, მაგრამ მაშინ და უფრო ადრეც, ახე არ უჭირდა ხევსურეთს, როგორც დღეს. ხეობები და სოფლები სავსე იყო ხალხით, „ქვარნი ქვარობდნენ და კაცნი კაცობდნენ", ხნავდნენ, თესავდნენ, სახლებს იშენებდნენ, ერთმანეთის შემწეობით გაჰქონდათ თავი. ცხოვრობდნენ ლაღად; ხიდუხჭირს გონივრულად ხვდებოდნენ, მტერს — მრისხანებით. შენდებოდა ციხე-კოშკები, ქვითკირები, დღესაც რომ აოცებენ მნახველს; იწერებოდა ხალხური პოეზიის სწორუპოვარი შედევრები; ჭარბი მოსახლეობით დროდადრო ავსებდნენ მტერთან ბრძოლაში დაცარიელებულ კახეთის მთისწინეთსა და ბარს. იცოდნენ თავისუფლების ფასი და თავგანწირვით იბრძოდნენ ბახტრიონზე, ქარ-ხელაქანში, ახპინძაში, კრწანისში და მტკიცედ იდგნენ საქართველოს ჩრდილოეთის კარიბჭესთან; ახისა და არღუნის ხეობები საიმედოდ ჰქონდათ ჩაკეტილი. ხევსურების დამსახურებაა, რომ ამ რეგიონში საქართველოს საზღვარი ერთი ნაბიჯითაც არ გადმოწეულა აქეთ.

ხევსურეთმა თავისი წილი სისხლი დაღვარა მეფის რუსეთისა თუ წითელი რუსეთის წინააღმდეგ ქართველი ხალხის მიერ წარმოებულ ბრძოლებშიც. ამიტომაც რამდენჯერმე დაისაჯა კიდეც. ყველაზე დიდი სასჯელი ხევსურეთისათვის 50-იანი წლების დასაწყისში მოსახლეობის ძალით აყრა და ბარში ჩამოსახლება იყო. თავისუფლებისმოყვარე კუთხე უკაცრიელ ხეობებად გადააქციეს. საქართველოს მაშინდელი ხელისუფლების ნამოქმედარი დღესაც გადაუჭრელ პრობლემად რჩება. მოიშალა ტრადიციული მეურნეობა და მთები მხოლოდ საზაფხულო საძოვრებად იქცა. განუკითხავმა ექსპლოატაციამ, უსისტემო ძოვებამ კი მთიანი ზოლის შეუქცევადი ეროზია გამოიწვია. ხევსურეთის დაცარიელებამ და ამ კუთხის საბოლოო გაპარტახებამ წარმოშვა საყოველთაო ქართული პრობლემები. ამიტომაც 15-20 წლის წინათ გაიშალა კამპანია: მთას უნდა დაბრუნებოდა მთიელი. მაგრამ სამწუხაროდ, მთაში დამბრუნებელი აღარავინ აღმოჩნდა. იძულებით ჩამოსახლებულთა უმეტესობა ამ დროისათვის უკვე მოხუცდა. მათი შთამომავალი კი უკვე ბარის ტრადიციებზე იყო აღზრდილი. მათთვის მთა და მთის ცხოვრება უცხო იყო, ამიტომაც გაჭირდა მთაში ცხოვრების ხელახლა აღორძინება, ამისათვის ვერც საჭირო ფორმები და საშუალებები მოიძებნა. თუმცა აქა-იქ თითო-ოროლა სოფელი მაინც გაცოცხლდა. აშენდა გუდანი და შატილი. აღნიშნული სოფლები დღესაც თუ სოფლობს, ის საქართველოს მაშინდელი ხელმძღვანელობის უდავო დამსახურებაა. მაგრამ მთის ბედი ჩვენი ქვეყნისათვის დღესაც გადაუჭრელ პრობლემად რჩება. არადა, ხევსურეთში, რომელიც ყაზბეგიდან თუშეთამდე გეოგრაფიულად მეტად რთულ საზღვარს კეტავს (მომიჯნავე ტერიტორიები ეკუთვნის ოსებს, ინგუშებს, ჩეჩნებს), სულ რაღაც 50-ოდე კილომეტრის გზებია გასაყვანი და ყველაფერი მოწესრიგდება. ოღონდაც გზების მშენებლობა სათანადო გეოლოგიური დასკვნების გარეშე არ უნდა მოხდეს. ბოლო ორ-სამი წლის განმავლობაში ხევსურეთის რამდენიმე სოფელში გაყვანილია საძოვრებზე მისასვლელი გზები, რომლებიც მხოლოდ სპეციალური ტექნიკის სასიარულოდაა გათვალისწინებული, მიმოსვლისათვის კი სრულიად გამოუსადეგარია. გაიჭრა ეროზირებული ფერდობები. სამუდამოდ განადგურდა სამეურნეო სავარგულები, სოფლები კი ფაქტობრივად მაინც უგზოდ დარჩა. ასეთია, მაგალითად, უკანხადუს, როშკის, ძიძიურთის, მოწმაოს გზები. არადა, გზების დაპროექტებისა და მშენებლობისათვის უფრო ხელსაყრელი ვარიანტი არსებობდა. პროექტის ავტორებმა კი რატომღაც უარესი აირჩიეს. კარგი იქნებოდა, ადგილობრივ მოხუცთათვისაც ეკითხათ რჩევა, ვფიქრობთ, ეს საქმეს წაადგებოდა.

ხევსურეთს ბოლო ათწლეულში თავს დაატყდა მრავალი სტიქიური უბედურება, თოვლისა და მეწყრის ზვავებმა გადაუარა სოფლებს: დათვისს, ხახმატს, აკუშოს, ლიქოკს. იყო მსხვერპლი. 1992 წლის ძლიერმა მიწისძვრამ, რომლის ეპიცენტრი ხევსურეთის ტერიტორიაზეც იყო, თითქმის სანახევროდ დაანგრია მშრალი ნაგები სახლები. საბედნიეროდ, ამ ნგრევას ადამიანთა მსხვერპლი არ მოჰყოლია. მიმდინარე წლის ზამთარში სტიქიურმა უბედურებამ კვლავ შემოუტია ამ კუთხეს: თოვლის ზვავებმა დაანგრია სოფლები: როშკა, ხახაბო, მუცო, ხონე. დაიღუპნენ ადამიანები, დაიხოცა ასობით პირუტყვი: მიუვალ ხეობებში უსახლკაროდ დარჩა ოჯახები. განმეორებითმა მიწისძვრამ მთლად მოუთავა ხელი ისედაც დანგრეულ ნაგებობებს. სტიქიურმა უბედურებებმა მთაზე ისედაც გულგატეხილ ხალხს საბოლოო იმედიც გადაუწურა. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს დღეს ძალიან უჭირს, თუ დღევანდელმა ხელმძღვანელობამ საგანგებო ღონისძიებები არ გაატარა, ხევსურეთი მთლიანად დაიცლება და ამ კუთხის გადამთიელი დაეპატრონება. მსგავსი მაგალითები კი, სამწუხაროდ, ბევრი გვაქვს. სამთავრობო კომისიამ უნდა დააზუსტოს სტიქიით მიყენებული ზარალი. სათანადოდ იქნეს შესწავლილი ხევსურეთში დღეს შექმნილი მდგომარეობა და ამის მიხედვით შედგეს ჩასატარებელ სამუშაოთა პროგრამა (სამწუხაროდ, მიწისძვრითა და ზვავებით მიყენებული ზუსტი ზარალი ჯერაც არ არის ცნობილი). მანამდე კი საჭიროა ხევსურეთში დაჩქარდეს სამანქანო გზების გაწმენდა, როგორც ბარისახო-არდოტის გზის მონაკვეთის, ასევე ე. წ. შიდა გზების — როშკისა და გორშელის ხეობისა. დღემდე გადასაწყვეტია აღნიშნული გზების „პატრონის" საკითხიც, რადგანაც ისინი დაუმთავრებლად ითვლება. ცალკე საკითხია ბარისახოს საგზაო უბნის, როგორც რთულრელიეფიანი, ზვავმეწყრიანი უბნის მექანიზმებითა და საწვავით შეუფერხებლად მომარაგება. გზების გახსნის შემდეგ საჭიროა პირველადი მოთხოვნილების საქონლის შეტანა: ფქვილის, ნავთის, მარილის, დიზელის საწვავის და სხვა.

პრობლემა

განსაკუთრებით უჭირთ შატილ-მიღმა ხევისა და არხოტის ხეობების მოსახლეობას. მაგალითად, არხოტის ხეობაში, რომელიც კავკასიონის ჩრდილოეთ ფერდობზე მდებარეობს, სამანქანო გზა ოსეთისა და ინგუშეთის ტერიტორიებზე გავლით შედის. ამჟამად ეს გზაც ჩაკეტილია. საჭიროა არხოტში მისასვლელი გზის გაყვანა, რომლის პროექტიც უკვე მომზადებულია.

ხევსურეთის სოფლების ძირითადი ნაწილი ელექტროფიკაციის გარეშეა დარჩენილი, არადა, არაგვის ხეობა, მისი სათავეები შეიცავს უზარმაზარ ჰიდრორესურსებს. ამ რესურსების ასათვისებლად სულაც არ არის ძნელი სამანქანო გზის პირას გაშლილ ველებში მცირე ჰესების ჩადგმა, რაც უზრუნველყოფდა არა მარტო არაგვის ხეობას, არამედ მნიშვნელოვან მარაგს მისცემდა მთელი რესპუბლიკის ენერგოსისტემას. იქნებ ის ორგანიზაციები, მეწარმეები, ბიზნესმენები, რომლებიც ხევსურეთში წამოიწყებენ საქმიანობას, წაგვეხალისებინა გარკვეული შეღავათებით: მიგვეცა მათთვის გრძელვადიანი მსხვილი კრედიტები, დროებით მაინც გაგვენთავისუფლებინა ყოველგვარი გადასახადისაგან, რომ მოხდეს ამ გაღატაკებულ მხარეებში მათი მოზიდვა და სათანადო თანხის ჩადება.

საჭიროა ადგილობრივი მმართველობის ორგანოს — ხევსურეთის თემთა საბჭოს სტრუქტურების დახვეწა და მისი ფუნქციების გაძლიერება. თავის დროზე მმართველობის ამ იდეის შექმნის ავტორებს მიზნად ჰქონდათ დასახული ხევსურეთის თემთა საბჭოს რესპუბლიკის მთავრობისადმი პირდაპირ დაქვემდებარებაში გადასვლა, რაც იმჟამად ვერ მოხერხდა. ახლა კი ნიადაგი ამისთვის მომზადებულია. როგორც სახელმწიფოს მეთაურმა ბ-ნმა ედუარდ შევარდნაძემ განაცხადა, სასაზღვრო რეგიონებში უნდა შეიქმნას ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები და პირდაპირ დაექვემდებაროს რესპუბლიკის მთავრობასა და სახელმწიფოს მეთაურს. მით უმეტეს, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ხევსურეთი მონაპირე, სასაზღვრო ზოლია და აქ განსაკუთრებული ყურადღებაა საჭირო. მაგალითად, გასულ ზამთარში შატილთან ახლოს გადამთიელებმა დახოცეს ხევსურთა მწყემსები. თოვლის გაშრობისა და გზების გახსნის შემდეგ შესაძლოა ხევსურეთიდან და ფშავიდან დაიწყონ საქონლის მოტაცება, რასაც უსათუოდ მოჰყვება ურთიერთ ხოცვა-ჟლეტა. გასულ შემოდგომაზე, მაგალითად, გაიტაცეს სოფელ ამღის საქონელი, რაც ადგილობრივი მოსახლეობის ძალისხმევით, საბედნიეროდ, მშვიდობიანად მოგვარდა. ამიტომ, ვფიქრობთ, წინასწარ არის საჭირო ზომების მიღება, რომ ჩამოყალიბდეს სასაზღვრო რაზმები მხოლოდ და მხოლოდ ადგილობრივი მოსახლეობის ბაზაზე, რომლებსაც სათავეში ჩაუდგებიან საამისო სამხედრო კვალიფიკაციის მქონე პირები. შეიძლება ამ რაზმებს მიენდოს როგორც საზღვრის, ასევე მართლწესრიგის დაცვა ხევსურეთის ტერიტორიაზე.

ცხადია, კუთხე ვერ აღორძინდება, თუ არ განვითარდა [illegible] რაიონი მეურნეობრივად კომპლექსურია, მაგრამ მესაქონლეობას აქ წამყვანი ადგილი უჭირავს. მთაბარის მეურნეობრივი კავშირი ისტორიულად ჩამოყალიბებული კომპლექსია, რომელიც დღეს უგულებელყოფილია და მრავალი სავალალო შედეგიც აქედან გამომდინარეობს. წარსულის გამოცდილებას ჩვენ დღესაც უნდა მივუბრუნდეთ და საქართველოს საზამთრო საძოვრებზე ხევსურეთსაც უნდა გამოეყოს საამისოდ ვარგისი ფართობი. ხევსური მეცხვარეებისა და მესაქონლეებისათვის ასეთ საძოვრებს არსებითი მნიშვნელობა აქვს. ზამთარში ადგილზე უჭირთ დიდი რაოდენობით პირუტყვის გამოკვება და ამიტომაც ყოველთვის იძულებით ამცირებენ სულადობას. ხევსურეთის თემთა საბჭოს წესდებაში წერია, რომ თემები თავის საძოვრებს, თუ მათ სურვილი ექნებათ, ცვლიან ბარის რაიონებს საზამთრო საძოვრებში. ეს ჩანაფიქრი არ განხორციელდა, რადგან თემთა საბჭოს ხელმძღვანელობამ აქცენტი ფულად გადასახადზე გადაიტანა, არადა, ხევსურეთში მომრავლდნენ ცხვრის პატრონები, რომლებიც ყოველ ზამთარს დაეძებენ ცხვრის გამოსაზამთრებელ ადგილებს.

როგორც ყველგან საქართველოში, მძიმე მდგომარეობაშია ჩავარდნილი ხევსურეთის ერთადერთი ბარისახოს საშუალო სკოლა-ინტერნატი. უნდა ითქვას, რომ აქ საერთოდ ჩაშლილია სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობა მრავალი ხელისშემშლელი მიზეზის გამო. განათლების სამინისტროს, ალბათ, საგანგებო ღონისძიების გატარება დასჭირდება შესანიშნავი ტრადიციების მქონე ამ სკოლის ფეხზე წამოსაყენებლად.

შეიძლება დღეს დიდ ფუფუნებად გაისმას, რომ სატელევიზიო გადაცემები ხევსურეთმაც მიიღოს, მაგრამ ესეც დღეს თუ ხვალ გასაკეთებელია და ამ საქმის სპეციალისტებმა მთასაც უნდა მიაქციონ ყურადღება.

დღეს საქართველოს მთასაც და ბარსაც ერთნაირად უჭირს. თითქმის არ არის რეგიონი, დალხინებული რომ იყოს. გამოსავალი კი მხოლოდ გააზრებულ შრომასა და ბრძოლაშია, რაც ორიენტირებული უნდა იყოს შექმნილი კონიუნქტურის მიხედვით.

როინ ლიპარტელიანი,
საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის კოლეგიის წევრი, აგრარული კომისიის თავმჯდომარე;

შალვა ნათელაშვილი,
საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის კოლეგიის წევრი, იურიდიული კომისიის თავმჯდომარე;

შოთა არაბული,
საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის განყოფილების გამგე;

ივანე წიქლაური,
გიორგი გოგოჭური,
არქეოლოგიური კვლევის ცენტრის მეცნიერ-თანამშრომლები.

P. S. წერილი უკვე მზად იყო, როდესაც შევხვდით რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის საგანგებო სიტუაციების, ლტოლვილთა და განსახლების განყოფილების გამგეს ბ-ნ რევაზ ტყემალაძეს. მასთან საუბარში გაირკვა, რომ არქიტექტურისა და მშენებლობის საქმეთა სამინისტროს სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო სამუშაოების მოცულობის დადგენა თუშეთში, ყაზბეგის, ახალგორის და თიანეთის რაიონებში დიდი ხანია დაწყებული აქვს. ამჟამად იგი აყენებს საკითხს საპროექტო-საძიებო და აღდგენითი სამუშაოების ოპერატიულად წარმართვისათვის საჭირო დაფინანსების დროულად გამოყოფის შესახებ.

აღნიშნული სამინისტროს წერილის შემოსვლას ამ საკითხზე დაემთხვა ეკონომიკის სამინისტროს მიერ 1993 წლისათვის სახელმწიფო ცენტრალიზებულ კაპიტალურ დაბანდებათა დამატებითი თანხების განაწილების პროექტის წარმოდგენა. პროექტში ზემოაღნიშნულ და ზოგიერთ სხვა რაიონებში გასულ წელს მომხდარი სტიქიური მოვლენების შედეგების სალიკვიდაციოდ გათვალისწინებულია 3 მილიარდ 830 მილიონი მანეთი. საჭიროა წარმოდგენილი პროექტი სასწრაფოდ და[illegible]

ამ ტრიალ ქვეყანაზე

პოლიტიკური კრიზისი რუსეთში

„შემოდგომა მოსკოვში: პოლიტიკური რეჟიმის აგონია თუ სახელმწიფოებრიობის კრიზისი?" ასეთი სათაურით ბეჭდავს 17 აგვისტოს პირველ გვერდზე „ნეზავისიმაია გაზეტა" რუსეთის ფედერაციაში პოლიტიკური სიტუაციისადმი მიძღვნილ ანალიზურ მასალას. სტატიის ავტორს მიაჩნია, რომ იმ დროს, როცა „საბჭოთა კავშირისაგან თავისი დამოუკიდებლობა გამოაცხადა რუსეთის ფედერაციამ, იგი ცდილობს შეეგუოს მისთვის უჩვეულო სუვერენობას, ძალისმიერ სტრუქტურათა კრიზისმა შეიძლება წერტილი დაუსვას ამ სუვერენობას".

გაზეთის კორესპონდენტი, ეხება რა უახლოეს ხანში ახალი საპარლამენტო არჩევნების მოწყობის შესაძლებლობას, შენიშნავს, რომ ეს კამპანია მხოლოდ ყველას უჩვენებს, თუ რამდენად დასუსტდა ცენტრი რუსეთში. „რუსეთში რეალურად მოქმედ პარტიათა არყოფნის ფონზე... ახალი პარლამენტი უკვე იქნება რეგიონალურ ინტერესთა პარლამენტი", — მიაჩნია მას, და ხაზს უსვამს, რომ ეს ორგანო შეიძლება უკანასკნელი იყოს ახლანდელი რუსეთის ფედერაციის ისტორიაში, თუნდაც მან ქვეყნის ახალი კონსტიტუცია მიიღოს.

ამავე თემას განაგრძობს გაზეთ „ტრუდის" კორესპონდენტი, რომელსაც მიაჩნია, რომ რუსეთის ხედს ამიერიდან გადაუწყვეტენ რეგიონები. აღნიშნავს რა, რომ უკანასკნელ ხანს რუსეთში უმაღლესი ხელისუფლების ორი შტო „სულ უფრო გადაჭრით შორდება ერთმანეთს", გამოთქვა აზრი, რომ ამ ჩიხიდან კონსტიტუციური გამოსვლის გზა არ არის, რადგან ხელისუფლებმა დაკარგეს კომპრომისების ძიების შესაძლებლობა. „ამ პირობებში პრეზიდენტის მოთხოვნა შემოდგომაზე გაიმართოს პარლამენტის არჩევნები და მისი მზადყოფნა ეს არჩევნები დანიშნოს თავისი ბრძანებულებით, სიმშვიდეს არ იწვევს, — მიაჩნია მასალის ავტორს, — და არა მარტო იმიტომ, რომ პარლამენტის სპიკერი უკვე რამდენიმე საათის შემდეგ ამ განცხადებას პროვოკაციულად მიიჩნევს, მაშასადამე, მიზნად ისახავს ხელისუფალთა კონფრონტაციის ახალ გაძლიერებას. ცუდია, რომ არჩევნებმა, რომლებიც ინიშნება არა კონსტიტუციით გათვალისწინებული ხერხით, შეიძლება გათიშოს ხელისუფლების ზედა ეშელონები და შეიძლება უბრალოდ არ გაიმართოს".

ქვეყნის ახალი პარლამენტის ვადამდელი არჩევნების მოწყობას კრიტიკულად ეკიდება „სოვეტსკაია როსია". გუშინ გამოქვეყნებულ მასალაში აღნიშნულია, რომ პრეზიდენტს იმედი გაუცრუა კონსტიტუციურმა თათბირმა და „გამალებით ქმნის უზენაესი საბჭოს ნაცვლად მეორე — ხელისუფლების პარალელურ ორგანოს — ფედერაციის საბჭოს".

ეს ჩვენი საქართველოა!



ზღვაზე.
ზურაბ დათუაშვილის ფოტო.

საააქციო საზოგადოება
თბილისის საინვესტიციო ფონდი
«ეფექტი — 88»

მიმართვა საქართველოს რესპუბლიკის მოსახლეობას, ქართველ და უცხოელ ბიზნესმენებს

გრძელდება ხელმოწერა აქციებზე, რომელთა შეძენით თქვენ გახდებით
რესპუბლიკაში ყველაზე დიდი, სამმილიარდიანი საწესდებო კაპიტალის
მქონე საინვესტიციო ფონდის აქციონერები.
ერთი აქციის ნომინალური ღირებულებაა 1000 კუპონი. იყიდება ასევე 10,50,100 ათასი და
1 მლნ კუპონის ღირებულების აქციათა პაკეტები, მხოლოდ გადარიცხვით, ბანკებიდან.
შეგახსენებთ, რომ ფონდის საინვესტიციო პოლიტიკის მიმართულებები, რომელთა საფუძველზე
28 ივნისს მას მიეცა რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტროს № 2 ლიცენზია,
გამოქვეყნებული იყო გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის"
16 ივლისის ნომერში.

დიდ მადლობას მოვახსენებთ რესპუბლიკის სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის სამინისტროს ხელმძღვანელობას,

რომელმაც 9 აგვისტოს № 10 /6-49 სარეკომენდაციო წერილით მიმართა რესპუბლიკის
აგროსამრეწველო კომპლექსში მომუშავე მუშა-მოსამსახურეებს, რათა ისინი გახდნენ ჩვენი
ფონდის აქციონერები.

ფონდის დევიზია: „ჩვენს გაჩანაგებულ ეკონომიკას მხოლოდ სოფელი თუ გადაარჩენს".

სწორედ ამიტომაც ფონდის მთელი საწესდებო კაპიტალის 55 პროცენტსა და უფრო მეტსაც სოფელს მოვახმართ.
ასეთი პრიორიტეტი ჩვენს სოფელს არასოდეს არ ღირსებია.
ჩვენ სრულიადაც არ გვიკვირს, როცა დღეს ქართველი გლეხი ერთ კილოგრამ ატამს 6 ათას
კუპონად ყიდის და სანაცვლოდ 100 კილოგრამი პურის ყიდვა შეუძლია.
ამ აშკარა უსამართლობაში მხოლოდ რესპუბლიკის ეკონომიკური
რეფორმების შტაბია დამნაშავე, რომელმაც მოშალა ქვეყნის ეკონომიკის
მამოძრავებელი მექანიზმი, ოდნავადაც არ ითვალისწინებს ცივილიზებული
ქვეყნების გამოცდილებას და არ აფინანსებს ბიუჯეტიდან სოფლის
მეურნეობას 15-20-ჯერ უფრო დიდი ოდენობით, ვიდრე კულტურასა და
განათლებას ერთად აღებულს.
სოფლის მეურნეობის ინვესტირებაში შექმნილ ყოვლად გაუმართლებელ
მდგომარეობის გამოსწორებას ნამდვილად შეძლებენ ჩვენი ფონდის
აქციონერები.

თანამემამულენო, იჩქარეთ, შეიძინეთ ჩვენი ფონდის აქციები! რაც უფრო დიდი წილი ექნება ამ ფონდში თითოეულ აქციონერს — კერძო მესაკუთრეს, მით უფრო მდიდარი იქნება იგი, მისი შთამომავლობა.

ბიზნესმენებო, მოგვმართეთ ეფექტური წინადადებებით საწარმოთა რეკონსტრუქციისა და ტექნიკური გადაიარაღების ინვესტირებისათვის! ამის გარეშე ჩვენ ვერ გამოვიყვანთ რესპუბლიკას ამჟამინდელი უმწვავესი ეკონომიკური კრიზისიდან!

ჩვენი რეკვიზიტებია: სააქციო საზოგადოება-თბილისის საინვესტიციო ფონდი „ეფექტი — 88",
საქბინსოცბანკის საბურთალოს განყოფილება,
მფო 521664, ანგარიშსწორების ანგარიში № 400467555.
მისამართი: ქ.თბილისი, კ.გამსახურდიას გამზ. 22, ტელექსი 212326 SEZAM, ფაქსი (8832) 518143,
ტელ. 38-51-92, საფოსტო ინდექსი 380094.
სააქციო საზოგადოება-თბილისის საინვესტიციო ფონდი
„ეფექტი-88"

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის
და აკად. დ.უზნაძის სახელობის ფსიქოლოგიის ინსტიტუტებთან
არსებული თბილისის ჰუმანიტარული ინსტიტუტი
1993-94 სასწავლო წლის მისაღები გამოცდების შედეგად დარჩენილი ვაკანტური ადგილების შევსების მიზნით აცხადებს დამატებით მიღებას დღის სწავლების შემდეგ სპეციალობებზე:
— სამართლისმცოდნეობა (დამატებითი ჯგუფი);
— ფსიქოლოგია-სოციოლოგია;
— ფსიქოლოგია, სამედიცინო ფსიქოლოგიის სპეციალიზაციით;
— საბაზრო ეკონომიკა და ბიზნესი (მარკეტინგის მენეჯერი);
— წარმოების ეკონომიკა და მართვა (წარმოების მენეჯერი).
ინსტიტუტში ვაკანტურ ადგილებზე ჩარიცხვა გამონაკლისის სახით იწარმოებს გასაუბრების წესით. განცხადებების მიღება შეწყდება ვაკანტური ადგილების შევსებისთანავე.
განცხადებები მიიღება 20 აგვისტოდან 10 სექტემბრამდე 12-დან 16 საათამდე. საორგანიზაციო ხარჯებისათვის აბიტურიენტმა უნდა გადაიხადოს 3000 კუპონი.
ინსტიტუტის მისამართია: ქ.თბილისი, ალ.ყაზბეგის გამზ. 34-ა. 101-ე საშუალო სკოლის შენობა.
ტელ: 39-59-64.
მიმღები კომისია

საგურამოს რესპუბლიკური სანატორიული
სკოლა-ინტერნატი
აცხადებს მოსწავლეთა მიღებას 1993-94 სასწავლო წლისათვის.
სანატორიულ სკოლა-ინტერნატში მიიღებიან 6-16 წლის I-XI კლასების ორივე სქესის სასუნთქი ორგანოების ქრონიკული სნეულებით არასპეციფიკური დაავადების მქონე ბავშვები.
სკოლა-ინტერნატში სამკურნალო პროფილაქტიკურ ღონისძიებებთან ერთად აღსაზრდელები მიიღებენ საშუალო სკოლის პროგრამით გათვალისწინებულ განათლებას.
სანატორიულ სკოლა-ინტერნატში ბავშვები იმყოფებიან არასრულ სახელმწიფო კმაყოფაზე. სკოლაში ჩარიცხვის მსურველებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი საბუთები:
1. მოსწავლის პირადი საქმე.
2. სამედიცინო ცნობა (ფორმა №27 და ფორმა №26).
ჩარიცხვა მოხდება 20 აგვისტოდან.
სწავლა დაიწყება 15 სექტემბრიდან.
დაწვრილებითი ცნობებისათვის მიმართეთ: განათლების სამინისტროს ინტერნატული დაწესებულებებისა და ბავშვთა უფლებების დაცვის განყოფილებას.
ტელ: 95-99-81. ან მცხეთის რაიონი, სოფელი საგურამო,
სანატორიული სკოლა-ინტერნატი. ტელ: 2-85.



ფირმა «PrintShop»
უახლესი პოლანდიური ტექნოლოგიით!
უმოკლეს დროში!
დაგიმზადებთ უმაღლესი ხარისხის
ბეჭდებსა და შტამპებს
თბილისი. გირხალაძის ქ. № 8
ტელ.: 998696, 997712

ქარხანა სეზონს მზად შეხვდა

ხობის საკონსერვო ქარხნის კოლექტივის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მან სულ მოკლე დროში შეძლო რაიონში ამ ბოლო პერიოდში შექმნილი მძიმე სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური და კრიმინოგენური სიტუაციის შედეგად მიყენებული სულიერი თუ მატერიალური ჭრილობების მოშუშება. არადა, მართლაც ვინ მოთვლის გასულ წელს რამდენჯერ გაძარცვეს და გაქურდეს ბოროტმოქმედებმა ეს ქარხანა. როგორ მილეწ-მოლეწეს მისი დანადგარ-მოწყობილობანი. მაგრამ ქარხნის კოლექტივს ერთი წუთითაც არ დაუკარგავს გონიერების იმედი და მომავლის რწმენა. მეკონსერვეთა ერთობის ძალამ განსაკუთრებით იმატა მაშინ, როცა მათ სათავეში ჩაუდგა ახალი ეკონომიკური აზროვნების, გაბედული ახალგაზრდა მეურნე კაცი ხვიჩა ჭანტურია.

ალბათ, ამიტომ იყო, რომ ასეთი ეკონომიკური სივიწროვის დროსაც არ დაუწყიათ წუწუნი და სხვისი ლოდინი. მარაგ-ნაწილების დეფიციტის მიუხედავად დროულად, შეაკეთეს და გამართეს მანქანა-დანადგარები, უფრო მეტიც; კარგად მოამზადეს სხვადასხვა საჭირო კომპონენტები და შეიძლება თამამად ითქვას, რომ ისინი ყოველმხრივ მომზადებულნი შეხვდნენ ახალ სეზონს. ახალი სეზონი კი ტყემლის მიღება-გადამუშავებით დაიწყო.

ახლა, როცა ქვეყნად სურსათის ასეთი მწვავე დეფიციტია, ხობელმა მეკონსერვეებმა გადაწყვიტეს გამოუშვან ადგილობრივი მოსახლეობისათვის ხელმისაწვდომ ფასებში ისეთი აუცილებლად საჭირო პროდუქცია, როგორიცაა: ჯემი, ხილფაფა, წვენები და სხვა.

მიუხედავად მთელი რიგი სიძნელეებისა, ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზებისა, მიმდინარე წლის პირველ ნახევარში ქარხანაში, მაინც დამზადდა 420 ათასი პირობითი ქილა კონსერვი. აქედან რეალიზებულია 30 მილიონი მანეთის პროდუქცია, ხოლო 10 მილიონი მანეთის პროდუქცია კიდევ გამზადებულია სარეალიზაციოდ, რომლის რეალიზების შემდეგ საგრძნობლად გაუმჯობესდება ქარხნის ეკონომიკური მდგომარეობა. აღსანიშნავია ისიც, რომ ქარხანამ უკვე თავი დააღწია ბანკის გრძელვადიან სესხს და ამით ერთგვარი პირობა შეიქმნა მუშა-მოსამსახურეების შრომის ანაზღაურების გაზრდისა. ნავარაუდევია მათი საზღაური 2-3-ჯერ გაიზარდოს და საშუალო თვიურმა ხელფასმა 25 ათას კუპონს მიაღწიოს.

მართალია, ძველი ეკონომიკური სისტემის მოშლამ გაწყვიტა ადრე არსებული ეკონომიკური კავშირები, მაგრამ მაინც ხერხდება ახალი, საქმიანი კონტაქტების დამყარება ყოფილი საბჭოთა კავშირის მონათესავე საწარმოებთან. შედეგიც კარგია. ბარტერული გაცვლის წყალობით მალე ხობელი მეკონსერვეები რუსეთიდან მიიღებენ 300 ათას სამლიტრიან ქილას, რომელიც მიმდინარე წელს მთლიანად მოხსნის ტარა-მასალის პრობლემას.

ოდიკ ქუხილავა,
„სრ“ საკუთარი კორესპონდენტი.

ფირმის საქველმოქმედო კალენდარი

როდის, ვის და რა შემწეობის ხელი გაუწოდა ფირმა „სიგმამ“ (პრეზიდენტი შოთა ტავლალაშვილი), ზუსტად აღუნიშნავს საქველმოქმედო კალენდარს.

მარტი. ფირმამ შეიძინა ასიათასი მანეთის ოთხიათასი ამპულა ტკივილგამაყუჩებელი საშუალება — დიმედროლი, და უსასყიდლოდ გადასცა ჯანმრთელობის სამინისტროს დაჭრილი მეომრებისათვის.

მაისი. მხედრიონელებმა ფირმისაგან მიიღეს შესახვევი მასალები და მედიკამენტები.

ივნისი. სწრაფი რეაგირების ბატალიონ „გორდას“ უწილადეს პირველი დახმარების საგნები და სამკურნალო პრეპარატები ოთხათეულათასზე მეტი მანეთის საერთო ღირებულებისა.

ივლისი. ზღვისპირეთში გაფთრებული ბრძოლების დროს თბილისის ვაკის რაიონის მოსახლეობის სახელით ფრონტელებისათვის გაგზავნილ სურსათ-სანოვაგისა და სხვა ჰუმანური დახმარების ამანათებში 100 ათასი მანეთის საჩუქრები სიგმელების წვლილიც იყო.

ფირმის კალენდრით მომავალშიც სხვა ახალი საქველმოქმედო საქმეებია ნავარაუდევი.

სერგო გიგოშვილი.

ქართულ ფილმს — „ვერცხლის ლეოპარდი“

შვეიცარიის ქალაქ ლოკარნოში დამთავრდა საერთაშორისო კინოფესტივალი, რომელზეც წარდგენილი იყო ქართველი კინორეჟისორის დიმიტრი ცინცაძის მხატვრული ფილმი „ზღვარზე“.

ფესტივალზე, რომელშიც მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის 22 ფილმი მონაწილეობდა, ქართველი რეჟისორის ნამუშევარმა **მეორე პრემია — „ვერცხლის ლეოპარდი“** დაიმსახურა.

ფილმი გადაღებულია კინოკომპანია „შვიდკაცაში“ 1993 წელს.

გიორგი ბარაბაძე.

თეატრი

ახალი ოპერის დაბადება

თ. შავლოხაშვილის „თეთრი მანდილი“ ქუთაისის საოპერო თეატრის სცენაზე

ახალი ოპერის დაბადება მუდამ იყო დიდი მხატვრულ-საზოგადოებრივი მნიშვნელობის მოვლენა ნებისმიერი ეროვნული მუსიკალური კულტურისათვის. ასეა ახლაც. მით უმეტეს, ეს ითქმის დღევანდელი ქართული მუსიკის შესახებ, როდესაც ახალი სპექტაკლის (საოპერო თუ საბალეტო) დადგმა ფაქტობრივად გადაულახავი სიძნელის ამოცანად იქცა თვით ჩვენი პირველი საოპერო თეატრისთვისაც კი.



მადლობის მეტი რა გვეთქმის ქუთაისის საოპერო თეატრის თავდადებული კოლექტივისადმი (ამჟამად თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელია სახელოვანი მომღერალი მ. ამირანაშვილი), რომელმაც წარმოუდგენლად რთულ ვითარებაში მიმდინარე სეზონში უკვე მეორე ახალ ქართულ ოპერას (პირველი იყო ბ. კვერნაძის „მედეა“) დაულოცა გზა და კიდევ ერთხელ დაამტკიცა არა მარტო თავისი პროფესიული ქმედითუნარიანობა, არამედ ქართული მუსიკისადმი ჭეშმარიტი ერთგულებაც.

ოპერის ავტორი თენგიზ შავლოხაშვილი (დაამთავრა 1972 წელს თბილისის კონსერვატორია პროფესორ ა. მაჭავარიანის ხელმძღვანელობით) საკმაო გამოცდილების მქონე კომპოზიტორია, მაგრამ, ვფიქრობ, რომ სწორედ ოპერა „თეთრი მანდილი“ გახდება მისი შემოქმედებითი გზის მნიშვნელოვანი ნიშანსვეტი (საბოლოო რედაქციით ოპერა ჯერ კიდევ 1981 წელსაა დასრულებული) თავისი უდავო მხატვრული და პროფესიული ღირსებების წყალობით.

ოპერის სიუჟეტური საფუძველია ავსტრიელი პოეტის მ. ჰარტმანის იმავე სახელწოდების ბალადა (ლიბრეტო მ. ფოცხიშვილისა). მისი ძირითადი იდეა — თავდადება თავისუფლებისათვის, სამშობლოსათვის, — რომლის მქადაგებელნიც არიან დედა და მისი სიკვდილმისჯილი შვილი, — განსაზღვრავს მთელი ოპერის ზეაწეულ სულიერ ატმოსფეროს, მუსიკის პათეტიკურ ინტონაციას.

ოპერაში ფაქტობრივად ორი გმირია, მაგრამ დიდი დრამატურგიული და გამომსახველი ძალა ენიჭება აგრეთვე მესამე — კოლექტიურ გმირსაც — ხალხს (გუნდს), რომელიც გულწრფელად თანაუგრძნობს გმირებს და კომენტარს უკეთებს ტრაგიკული პერიპეტიის განვითარებას. სწორედ გუნდის დრამატურგიული აქტიურობა, მისი წარმმართველი როლი, გარეგნულ სცენურ სტატიკურობასთან შერწყმით, უფლებას გვაძლევს განვსაზღვროთ ნაწარმოების ჟანრი, როგორც ოპერა-ორატორია. აქვე უნდა აღვნიშნოთ კომპოზიტორის საგუნდო პოლიფონიური წერის მაღალი ტექნიკაც.

ავტორს გათვალისწინებული აქვს XX საუკუნის საოპერო კომპოზიტორთა გამოცდილება, რაც იგრძნობა როგორც ნაწარმოების ჟანრულ გადაწყვეტაში, ისე საერთო მუსიკალურ სტილში, ორკესტრირების ცალკეულ თავისებურებებში, ვოკალური ინტონირების ხერხებში (პირველ რიგში, აქ ვახსენებდით სტრავინსკის „ოიდიპოს მეფეს“).

თ. შავლოხაშვილის ოპერა, ისევე როგორც მისი პოეტური პირველწყარო, არაა ლოკალიზებული მოქმედების დროისა და ადგილის მხრივ და განზოგადებულად წარმოგვიდგენს მთავარი იდეის მხატვრულ განსახიერებას. შესაბამისად ამისა, ოპერის მუსიკალური ენაც ინტონაციურად განზოგადებულია, თუმცა მის ქართულ წარმომავლობაზე ნათლად მეტყველებს ცალკეული ეპიზოდების ჰარმონიული სტრუქტურა (მაგ. სვანური მრავალხმიანობისათვის დამახასიათებელი აკორდული კომპლექსების ჯაჭვი მე-3 სურათში), ქართული საგალობლის სტილისტური შრე.

ოპერის ერთაქტიან კომპოზიციაში გამოიყოფა 4 ეპიზოდი (პირობითად სურათი), რომლებიც უწყვეტლივ მისდევს ერთიმეორეს: 1. პროლოგი. 2. დედა-შვილის ვრცელი სცენა, 3. დედის მონოლოგი, 4. ფინალი.

მიუხედავად იმისა, რომ მუსიკალური განვითარება უწყვეტი ხაზით ვითარდება, მაინც შეიძლება გამოვყოთ ცალკეული დასრულებული მონაკვეთები, რომელთა შორის თავისი მხატვრული და ემოციური გამომსახველობით გამოირჩევა ვაჟის არიოზო, დედის თხრობა, დედის ლოცვა, რვახმიანი ქორალი და სხვ.

ოპერის საორკესტრო პარტიტურა ოსტატის ხელითაა შესრულებული. იგი ფრიად დიფერენცირებული, მკვეთრი და ამავე დროს, ეკონომიურია გამომსახველ ხერხთა თვალსაზრისით.

დრამატურგიული ხაზი ოპერაში აღმავალი დინამიკური ტალღით მიემართება და კულმინაციას აღწევს დასასრულისათვის. მუსიკა ფრიად კონცენტრირებულია „დროსა და სივრცეში“, რაც აძლიერებს მსმენელის მიერ მისი აღქმის შთაბეჭდილებას.

ყოველივე ზემოთქმულის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ თ. შავლოხაშვილის „თეთრი მანდილით“, თანამედროვე ქართული ოპერა გამდიდრდა ახალი ორიგინალური, მხატვრულად გამართული ნაწარმოებით, რომელიც თავის საჩინო ადგილს დაიკავებს ჩვენს არცთუ მდიდარ საოპერო რეპერტუარში.

და, ბოლოს, კვლავ მადლიერების გრძნობით მინდა მოვიხსენიო ქუთაისის თეატრის დასი, რომელმაც წარმატებით გაართვა თავი ერთობ რთულ შემოქმედებით ამოცანას. პირველ რიგში, ეს ითქმის ამ წარმატების მთავარ სულისჩამდგმელზე — დირიჟორ მამუკა დოლიძეზე, რომელსაც გვინდა ვუსურვოთ შემდგომი შემოქმედებითი წინსვლა. იღბლიანი გამოდგა დებიუტი საოპერო სცენაზე ცნობილ რეჟისორ ნანა დემეტრაშვილისათვის, ქებას იმსახურებენ მხატვარი თ. არსენიძე, ქორმაისტერები ა. მაჭავარიანი, გ. ფარჩუკიძე, ტ. თოფურიძე, ქორეოგრაფი ე. გუმბერიძე, კონცერტმაისტერები და, ცხადია, მთავარი როლების შემსრულებლები: ვ. ცერცვაძე და ნ. სულაბერიძე (დედა), ვ. მითაიშვილი, გ. აბესაძე და ა. გუჯაბიძე (ვაჟი).

გვიმრავლოს ღმერთმა ჩვენს შფოთიან და შეჭირვებულ დროში ამგვარი სასიხარულო და საამაყო ამბები.

გულბათ ტორაძე.

ხიდები

იგი 23 წლისაა

შარშან ქავთარაძეების ოჯახმა საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების ელჩის ბატონ კენტ ბრაუნის წერილი მიიღო: ელჩი ულოცავდა ამ ოჯახს შვილის გია ქავთარაძის ინდიანას უნივერსიტეტში ჩარიცხვას.



ყველაფერი კი იმით დაიწყო, რომ 1992 წლის ივნის-ივლისში, ქ. ერევანში ჩატარდა ბენჯამინ ფრანკლინის ფონდის პროგრამით ზონალური შესარჩევი გამოცდები ამერიკის შეერთებული შტატების უნივერსიტეტებში სწავლის გაგრძელების უფლების მოსაპოვებლად.

ამერიკელი პროფესორ-მასწავლებლებისაგან შემდგარმა ავტორიტეტულმა კომისიამ კონკურსში გამარჯვებულად ცნო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო სამართლის ფაკულტეტის კურსდამთავრებული გია ქავთარაძე და იგი სამეცნიერო ხარისხის მაძიებლად აშშ ქალაქ ინდიანაპოლისის უნივერსიტეტში მიავლინა. (საინტერესოა, რომ მგზავრობის, სწავლის, ბინის და სხვა ხარჯებს ზემოთ აღნიშნული ფონდი ანაზღაურებს).

ამ დღეებში თბილისს ესტუმრა საქვეყნოდ ცნობილი ამერიკული იურიდიული ფირმის პრეზიდენტი პოლ დიტრიხი, იმ ფირმისა, სადაც ახალგაზრდა ქართველმა იურისტმა დაიწყო მუშაობა. „ძალიან მაინტერესებდა გია ქავთარაძის ოჯახის გაცნობა, — თქვა ბატონმა დიტრიხმა ჩვენთან შეხვედრის დროს, — მინდოდა მისი მშობლებისთვის მადლობა გადამეხადა ასეთი შვილის აღზრდისათვის. ქართველმა ახალგაზრდამ ყველას სიყვარული დაიმსახურა იმით, რომ მასში თავმოყრილია თქვენი ერის საუკეთესო თვისებები — სამშობლოს უსაზღვრო სიყვარული, მაღალი შინაგანი კულტურა, უდიდესი პასუხისმგებლობის გრძნობა, უშუალობა და, რაც მთავარია, შრომისმოყვარეობა. იგი დღეში 10-11 საათს მუშაობს. მან უკვე თარგმნა კანონპროექტი კომერციული საქმიანობის შესახებ, საქართველოსათვის სასიცოცხლოდ აუცილებელი ორი კანონპროექტის თარგმნასაც უახლოეს ხანში დაამთავრებს. გია წარმატებით ათავსებს ერთმანეთს სწავლასა და ფირმაში მუშაობას. ინდიანას უნივერსიტეტშიც და ჩვენს ფირმაში იგი დიდი სიყვარულითა და პატივისცემით სარგებლობს“.

აეროპორტში გამომშვიდობებისას ჩინეთში მიმავალმა ბატონმა პოლ დიტრიხმა გაგვანდო, რომ 19 აგვისტოს აუცილებლად უნდა იყოს ვაშინგტონში, რათა ოჯახის წევრებისა და ფირმის თანამშრომლების წრეში აღნიშნოს გიას დაბადების დღე.

დღეს გია ქავთარაძეს 23 წელი შეუსრულდა.

ვულოცავთ!

გია იოსელიანი.

სურათზე: გია ქავთარაძე (მარცხნივ) და აშშ სენატის უმრავლესობის ლიდერი სენატორი მიჩელი.

უკან დასახევი გზა აღარ არის

საკუთარი ნებით იარაღის ჩამბარებელი დღეს არავინ ჩანს

27 ივლისის შემდგომმა მოვლენებმა ერთხელ კიდევ დაგვანახა, რომ ერთ-ერთი ყველაზე დიდი საფრთხე ქვეყნისათვის არის გაუწონასწორებელი, ავადმყოფური ფსიქიკის და უპასუხისმგებლო ერთეულთა ხელში მოხვედრილი იარაღი.

დღევანდელივით მახსოვს, აფხაზეთში, ექსტრემალურ სიტუაციაში ხშირად ყოველგვარი შემოწმების, აღრიცხვისა და კონტროლის გარეშე, რომ ურიგდებოდათ მამასისხლად ღირებული, დეფიციტური ავტომატური იარაღი შემთხვევითს, ერთი-ორი დღით საგასტროლოდ ჩასულ თვითმარქვია მებრძოლებს! ბევრი მათგანის პატრიოტიზმი, როგორც წესი, საპნის ბუშტივით უდღეური გამოდგა. მიაღწევდნენ რა მიზანს, გუდა-ნაბადს აიკრავდნენ, აიდევნებოდნენ „ლევი“ ტვირთებისგან ისედაც დაოსებულ „ორბებს“ და, ჰერი, უკან თბილისისკენ! ასე „კეთდებოდა“ ხალხი. ეს დიდი ქაოსი იყო და ქვეყნის მომავლის, ომში გამარჯვების ბედი თუ აინტერესებდა ვინმეს, უნდა მოეცალა, თვალი გაეხილა და ამ ურა-პატრიოტების გულში ჩაეხედა, მათი სტუმრობის ნამდვილ მიზანს მიმხვდარიყო, უფრო მეტიც, ახლა, ომი რომ დამთავრდა, მოეკითხა ეს იარაღი და უკან არმიისთვის დაებრუნებინა. საუბედუროდ, ასე არ მოხდა. რატომ? საჭიროდ არ მიიჩნიეს ან დაეზარათ: მაშინ ხომ, უბრალოდ, გამკითხავი არავინ იყო და რაკი პასუხიც არ მოეთხოვებოდათ, ზედმეტად რად შეეწუხებინათ თავი?! „ტროფეინიაო“, ამბობდნენ, „ტროფეინიო“. იმდენი სიკეთე მაგათ, რამდენიც იგ „ტროფეინი“ იყო — ზოგიერთს ცოცხალი მტერიც კი არ ენახა თვალით. ეს იარაღის ხელთგდების ციებ-ცხელების დრო იყო, ნელ-ნელა უკურნებელ დაუნიზმში რომ გადაიზარდა — იარაღის პატრონმა თეთრისა და შავის გარჩევის უნარი დაკარგა. მერე, თუნდაც „ტროფეინი“ ყოფილიყო ის დასაწვავი, ვინ აძლევდა, მათ იარაღის მითვისების უფლებას?! საუბედუროდ, ჩვენი მეთაურები აქაც სცოდავდნენ, თუმცა ახლა, ეტყობა, უკვე გვიანაა თითზე კბენანი.

„ბრძოლიდან თავისუფალ დროს იარაღასხმული ნუ გამოხვალთ ქუჩაში, დაგეცემიან, წაგართმევენ და შეიძლება მოგკლან კიდეცო“, — უბარებდნენ ერთმანეთს სოხუმში წასვლის წინ პატიოსანი, ალალმართალი ბიჭები. უნდა გენახათ, ქალაქის „შავი ხალხისაგან“ რა დღეში იყო ერთხელ სოხუმის პოლიციის უფროსი ბატონი რაფავა, ემუქრებოდნენ, იარაღს სთხოვდნენ, სამი დღე-ღამის განმავლობაში ცხვირი ვერ გამოუყო კაცს გარეთ. ზედაც მივუსწარით. მეცხრე ცას ეწია სიხარულით თანაქალაქელი ნარკომანებისა და მკვლელების „ტუში“...

ბევრმა არც იცის, თუ რა სიძნელეს წარმოადგენს მოსახლეობისგან იარაღის ამოღება. მოსახლეობას ვამბობ, თორემ ისიც კარგად ვუწყით, ვის ხელშია და ვინ დაპარპაშებს დღეს იარაღით. ნათქვამია, თევზი თავიდან აყროლდებაო. ეს მართლაც, ასეა. ამდენად, ნუ შევშურდებით პოლიციისა. მას ზოგჯერ ისეთი პრობლემების გადაწყვეტა უწევს, მის შესაძლებლობებს, ბარე, ათჯერაც რომ აღემატება. ნებით იარაღის ჩამბარებელი დღეს, არავინ ჩანს, ძალას კი, თავადაც კარგად ხედავთ, რა შედეგები მოჰყვება ხოლმე.

* * *

კარგად იმუშავეს კრიმინალური პოლიციის ცალკეული სამსახურების თანამშრომლებმა, მაგრამ ყოველგვარი ცდა იმისა, რომ ომისშემდგომ საქართველოში მცირე ხნით მაინც ჩამომდგარიყო მშვიდობა და სიწყნარე, ამაო გამოდგა. ამას წინათ, ტელევიზიით ერთი ცოფიანი სპილო ვნახე, რომელმაც რაღაც ხუთ წუთში მიწასთან გაასწორა მოზრდილი სოფელი. გავიდა ხანი, ხალხი მოემზადა და საერთო ძალისხმევით გაუსწორდა სპილოს, ბევრი მისი გვარ-ტომელიც დაიმორჩილა, ბორკილები დაადო, თავისუფლება წაართვა და საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომაში ჩააყენა. არ გასულა დიდი დრო და ჯუნგლების მყუდროება კვლავ დაირღვა. ამჯერად, ერთი დამორჩილებული, „მოშინაურებული“ სპილოს — „შავი მთის“ (ის ყველაზე მეტად ვერ ეგუებოდა თავიდან თავისუფლების დაკარგვას) პირმში, გაცოფდა, მიმოლეწა ყველაფერი, ერთი მეტყევე იშვზე წამოიგო, მიწას დაახეთქა და სოფლისკენ დაიძრა... ვერაფერმა რომ ვერ გააჩერა, გზაზე მამა დახვდა, ეშვები აძგერა შვილს კისერში და... ტყისკენ გაუტია.

დღეს თითქმის ყველგან წესრიგისა და კანონიერების აღდგენაზე ლაპარაკობენ, მაგრამ როგორც ყოველთვის, ახლაც, ჭინჭრის დაკრეფა სხვისი ხელით სურთ. როგორც ერთი კაცი ვერ მოერეოდა ცოფიან სპილოს, ისე წესრიგისა და კანონიერების აღდგენაც არ მოხერხდება, თუ მთელმა ერმა არ მოინდომა. ქვეყანას ძირს ყაჩაღი და მკვლელი როდი უთხრის მხოლოდ. მოიცალეთ, ერთი, და მიაკითხეთ ჩვენს მომსახურების, ვაჭრობის თუ მგზავრობის ობიექტებს. შორს რად გინდათ წასვლა, აგერ, ვაგზალს მიაკითხეთ. უბრალო კაცისთვის აქ ყველაფერი იყიდება ბილეთის გარდა — სინდის-ნამუსი, პატიოსნება. ერთხელ მაინც იმგზავრეთ ჩვენი მატარებლებით. დადის მთელი ღამე კონდუქტორი, აგროვებს კუპონებს, შემთხვევითი თვალისგან ნილბავს ათასგვარ, ყიდვა-გაყიდვისათვის კანონით აკრძალულ საქონელს... ქოლერისა და შავი ჭირის ბაცილების „საშოვნელად“ რაღა თურქეთში დადიხართ, თქვე დალოცვილებო! ესტუმრეთ ჩვენს ბაზრებს, ქუჩებს, სასტუმროებს და, რაღა თქმა უნდა, იმგზავრეთ მატარებლით! ეს ცოცხალი ჯოჯოხეთია და ერთი დიდი... დიდი სანაგვე. ასე რომ, აქ ქოლერისა და შავი ჭირის ბაცილებს როდი სძინავთ მარტო — დამნაშავეობაც იფურჩქნება...

ერთად უნდა ვებრძოლოთ

* * *

ღრუბლიანი ამინდი იდგა. მზე უკვე კარგა ხნის გადაწურული იქნებოდა, ისნის მხარეს რომ სროლა ატყდა, შინაგან საქმეთა სამინისტროში განგაში გამოცხადდა. ოპერატიულად შეიკრიბა რამდენიმე შეიარაღებული პოლიციელი. მეტროპოლიტენის სადგურ „ავლაბართან“ ცამეტმა შეიარაღებულმა შავნაბადელმა „მაკაროვის“ სისტემის ტაბელური იარაღი წაართვა უბნის ინსპექტორს, პოლიციის მაიორს ალექსანდრე სანაიას. ეს მას შემდეგ მოხდა, როცა შემკრებნი კომერციული ჯიხურის „ალებას“ აპირებდნენ, პოლიციელმა კი მათ წესრიგისაკენ მოუწოდა. გათავხედებული სამხედროები კი დააკავეს, მაგრამ რად გინდა?! ნეტა, ასე ოპერატიულად ფრონტზე ეცნობებინათ ერთმანეთისთვის გასაჭირის შესახებ და მიეშველებინათ მაშველი ძალა. ერთი შავნაბადელი გაქცეულიყო და მთელი ბატალიონი მოეყვანა. ორმხრივ სროლაში რამდენიმე პოლიციელი დაიჭრა. მობილიზებული იყო ქალაქის გარნიზონის პირადი შემადგენლობა, საბედნიეროდ, მისი გამოყენება საჭირო აღარ დარჩა. რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრმა გია ყარყარაშვილმა განაზავა „დაპირისპირებული მხარეები“.

მარნეულის ბაზარში კი რაღაც უცნობი ნივთიერების აფეთქებას ხუთი ადამიანის სიცოცხლე შეეწირა, მრავალი დაიჭრა. რა იყო ეს? ალბათ, დივერსია, მაგრამ ვის დასჭირდა თავისი ავი, ბოროტი ზრახვების აღსრულება უბრალო ადამიანების სიცოცხლის ფასად?!

„საზამთროს გამომძალველების“ ამბავი უკვე დაძველდა, მაგრამ მისი გახსენებით ერთხელ კიდევ მინდა დაინახოს საზოგადოებამ ის, თუ რა მძიმე შედეგის მომტანია ცეცხლსასროლი იარაღი იმ ადამიანის ხელში, ვისთვისაც სიკეთესა და ბოროტებას შორის საზღვარი არ არსებობს.

ამგვარად, აგვისტოს პირველ ნახევარში რესპუბლიკაში 37 მკვლელობა დაფიქსირდა, რომელთაგან, ჯერჯერობით, გახსნილია 18. განცვიფრებას იწვევს გაუპატიურების შემთხვევათა ზრდა (16). თუმცა ამასაც მოეძებნება თავისი მიზეზები. კარგად იმუშავეს კრიმინალური პოლიციის სამძებრო და ნარკომანიის და ნარკობიზნესის წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველოს მუშაკებმა. ამ დღეებში ნარკოტიკებთან დაკავშირებული 40 შემთხვევა დაფიქსირდა — ყველა გახსნილია. დადგენილი და დაკავებულია 24 ძებნილი, ამოღებულია 17 ერთეული ცეცხლსასროლი იარაღი.

მეგონა, ფულის გამოძალვის მიზნით ადამიანის გამტაცებლებმა ხელი აიღეს თავიანთ ბინძურ პროფესიაზე, მაგრამ მოვტყუვდი. ის, რაც დღისით მზისით, 10 საათზე, თბილისის გარეუბანში, გარდაბნის რაიონის სოფელ კრწანისში მოხდა, ცოტა შორსაა ლოგიკისგან. კუმისის ტბის ახლოს განლაგებული რუსეთის სამხედრო ნაწილის პრაპორშჩიკები ქაფილ შეიხოვი და ალექსანდრე ხაჩატუროვი ბენზინმზიდით ნაწილისკენ მიემართებოდნენ; ამ დროს, მათ გზა გადაუღობა შვიდმა შეიარაღებულმა ბოროტმოქმედმა და ავტომანქანიანად გაიტაცა. გატაცების ადგილს ალყა შემოარტყეს ამავე სამხედრო ნაწილის მოსამსახურეებმა. ამასობაში პოლიციის რაზმიც მოვიდა. ყაჩაღებმა გატაცებულებს ორი ტაბელური იარაღი წაართვეს, ტყვეებს თავი ანებეს, „ალყა გაარღვიეს“ და მიიმალნენ. თვითმხილველების თქმით, იმუქრებოდნენ, რომ ამ საქმეს ასე არ დატოვებენ, რადგან ბევრი ფული აქვთ, იმათ მაინც მოიტაცებენ და ანგარიშს გაუსწორებენ.

ერთი-ორი ანალოგიური შემთხვევა სხვა რეგიონებშიც მოხდა.

არ შემიძლია გვერდი ავუარო ერთ საქმეს, რომელიც შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანიზებული დამნაშავეობისა და კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველოს თანამშრომლებმა გახსნეს. ახლა უკვე ცნობილია, რომ სამაჩაბლოში განლაგებული სამშვიდობო ჯარების ზოგიერთი მებრძოლი შემჩნეულია ნარკოტიკებთან დაკავშირებულ დანაშაულობებში. კასპის რაიონის სოფელ საკორინთლოში დააკავეს ოზურგეთელები ავთანდილ მალაზონია, ამირან დოლიძე და თბილისელი, სამედიცინო ინსტიტუტის მეორე კურსის სტუდენტი მიხეილ მეტრეველი. მათთან ერთად „ჩავარდა“ სამშვიდობო ძალების ზემდეგი თამაზ სხირტლაძეც. მან ზემოხსენებულ ბიჭებს მეგზურობა გაუწია და ნარკოტიკები შეაძინა.

* * *

სული ყელში ამოვიდა. უკან დასახევი გზა აღარ არის. ხვალ-ზეგ, ალბათ, ქვეყანა საგანგებო რეჟიმით იცხოვრებს. ახლა მართებს ყველას დაფიქრება, სიმართლისა და საკუთარი სინდისისთვის თვალის გასწორება. „საქართველოსთვის, ბიჭებო, სწორდით“, — სახარების მეთერთმეტე მცნებად უნდა აღიქვას ეს სიტყვები მთელმა ერმა, დიდმა და პატარამ...

ზაურ მაკარაძე.

დახმარებას გაუწევს საქართველოს

ვაშინგტონი, 18 აგვისტო. (იტარ-ტას-საქინფორმი). შეერთებული შტატები საქართველოს საჩუქრად გადასცემს 160 ათას ტონა ხორბალს. ეს აქ სამშაბათს გამოაცხადა ამერიკის შეერთებული შტატების სოფლის მეურნეობის სამინისტრომ. 30 მილიონი დოლარის ხორბლის ამ დიდი პარტიის უსასყიდლო მიწოდება განხორციელდება პროგრამის „სურსათი პროგრესის საკეთილდღეოდ“ ფარგლებში, რომლის მიზანია ხელი შეუწყოს ეკონომიკის კერძო სექტორის განვითარებას. საერთო თანხაში შედის აგრეთვე საქართველოში ხორბლის საზღვაო გადაზიდვის დაფინანსების ხარჯები.

ახალი საჩუქარი პირველი ამგვარი საქველმოქმედო აქტი როდია ყოფილი საბჭოთა კავშირის ამ რესპუბლიკის მიმართ. უფრო ადრე მიმდინარე წელს საქართველოს უკვე გადაეცა უსასყიდლოდ დაახლოებით 20 მილიონი დოლარი საერთო თანხის თითქმის 150 ათასი ტონა ხორბალი.

საქართველოს სტადიონებზე

ამ დღეებში გაიმართა ეროვნული ჩემპიონატის მესამე ტურისა და თასის გათამაშების პირველი ეტაპის მატჩები. გთავაზობთ მათ შედეგებს:

ჩემპიონატი

აღმოსავლეთი ზონა

„შევარდენი-1906“ — „საპოვნელა“ — 3:0, „ერქვანი“ — „მარნეული“ — 5:0, „მეტალურგი“ — „ივერია“ — 1:3, „კახეთი“ — „დილა“ — 2:1. გადაიდო „მარგვეთისა“ და „მრეტების“ შეხვედრა.

დასავლეთი ზონა

„კოლხეთი-1913“ — „სამგურალი“ — 2:0, „სამტრედია“ — „შუქურა“ — 3:2, „ბათუმი“ — „ამირანი“ — 3:1, „გურია“ — „მზიური“ — 5:0, „ოდიში“ — „ცხუმი“ — 3:3 (აბაშაში).

თასის გათამაშება

თბილისის „იბერია“ — თბილისის ასკ — 1:6, აბაშის „კოლხეთი“ — „ნაფარეული“ — 3:0 (გამოუცხადებლობა), ყვარლის „დურუჯი“ — თბილისის „ბახო“ — 1:0, „ჟინვალი“ — ლანჩხუთის „გურია-2“ — 3:0 (გამოუცხადებლობა), დუშეთის „არაგვი“ — თბილისის „ერქვანი-ზოოვეტი“ — 1:0, ახალციხის „მესხეთი“ — „ჭაბუკიანი“ — 4:1, ტყიბული „მეშახტე“ — თბილისის „მერანი-91“ — 5:1, თბილისის „ანცი“ — მცხეთის „არმაზი“ — 7:1, სალხინოს „ულუმბო“ — წნორის „ქიზიყი“ — 1:1 (პენალტებით — 4:3). სენაკის „ეგრისი“ და თბილისის „ეკობელა“ დღეს ითამაშებენ აბაშაში.

ხსოვნა

ნაზი კილასონია

ქართულმა მწერლობამ მძიმე დანაკლისი განიცადა. ჩვენს დიდ ოჯახს ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გამოაკლდა გამოჩენილი ქართველი პოეტი — ნაზი კილასონია.

ნაზი კილასონია დაიბადა 1927 წლის 20 ოქტომბერს, ქარელის რაიონის სოფელ აბისში. თბილისის ქალთა მე-6 სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიურ ფაკულტეტზე, რომელიც 1952 წელს დაამთავრა.

ნაზიმ ლექსების წერა ადრე დაიწყო. მისი პირველი პოეტური სტრიქონები კი უნივერსიტეტის ალმანახში — „პირველ სხივში“ დაიბეჭდა და მისმა გამორჩეულმა ნიჭმა მაშინვე მიიპყრო მკითხველი საზოგადოების ყურადღება. ასე რომ არ ყოფილიყო, მისი პირველი წიგნის — „ლექსების“ რედაქტორობას არ ითავებდა გიორგი ლეონიძე, ქართული პოეზიის ბერმუხა, რომლის მადლიანმა ხელმა გზა დაულოცა ნაზი კილასონიას.

ნაზი მრავალი პოეტური კრებულის ავტორია. მათ შორის საკმარისია დავასახელოთ: „ოქროს ფრინველი“, „დიდება შენდა“, „ბრძოლის ქოლგები“. მის ლექსებზე შექმნილია სიმღერები, რომლებიც ყველა ცნობილ საესტრადო მომღერალს თავის რეპერტუარში აქვს შეტანილი.

ნაზი კილასონია თავისთავადი და ორიგინალური ხმის შემოქმედი იყო. მისი ლირიკული პოეზია ყოველთვის გამოირჩეოდა გულწრფელობით, უშუალობით, მაღალი პოეტური გემოვნებით, გულშიჩამწვდომი საოცარი ჟღერადობით.

ნაზი კილასონია ძლიერია პატრიოტულ, სამშობლოშვილურ და სამოქალაქო თემებზე დაწერილ ლექსებში, რის გამოც კიდევ უფრო გაფართოვდა მის თაყვანისმცემელ მკითხველთა რიცხვი.

მან დიდი ამაგი დასდო საბავშვო და საყმაწვილო პოეზიას კრებულებით: „ჩემი დაიკო მაიკო“, „ხოტორა“, „ჩემო თამოს ფრთებო“.

ნაზი მომთხოვნი იყო არა მარტო თავისი თავის, არამედ კოლეგების მიმართაც. დიდად აფასებდა ნამდვილი შემოქმედების ნაღვაწს, და აკი ამიტომაც არა ერთი და ორი ლიტერატურულ-კრიტიკული სტატია მიუძღვნა ქართული მწერლობის ღირსეულ წარმომადგენლებს. მრავალი სახელოვანი პოეტების ლექსებიც თარგმნა უცხო ენიდან და აამღერა ქართულ ენაზე.

ნაზი კილასონიამ მუშაობა დაიწყო ჟურნალ „პიონერში“, სამ ათეულ წელზე მეტი ხანი კი ჟურნალ „საქართველოს ქალის“ რედაქციაში უძღვებოდა ლიტერატურისა და ხელოვნების განყოფილებას. იყო საქართველოს მინისტრთა საბჭოს და საქართველოს მწერალთა კავშირის პრემიის ლაურეატი.

სამშობლოს მგზნებარე პატრიოტის, მხატვრული სიტყვის და პოეტური ლირიკის გამოჩენილი ოსტატის ნაზი კილასონიას ნათელი ხსოვნა მარად იცოცხლებს მისი მეგობრების გულში, ვისაც მასთან უხდებოდა შეხვედრა და მუშაობა, ვინც ეთაყვანება ქართული ლექსის ნამდვილ პოეტურ სტრიქონებს.

საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობა.

ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირი თანაგრძნობას უცხადებს კავშირის თბილისის საბურთალოს გაერთიანების გლდანის რეგიონალური ორგანიზაციის თავმჯდომარეს, ბატონ ამირან ლიბრაძეს დედის

თინა ლიბრაძის

გარდაცვალების გამო.

სააქციო კომერციული ბანკი
„TBC-ბანკი“
აწარმოებს ნებისმიერი თავისუფლად კონვერტირებადი ვალუტის შესყიდვას. ბანკი მუშაობს ყოველდღე შაბათ-კვირის ჩათვლით.
ჩვენი მისამართია:
ქ.თბილისი, ჭავჭავაძის პრ. 11.
ტელ. 22-06-61

სკბ „ვა-ბანკი“
სააქციო-კომერციული ბანკი „ვა-ბანკი“ მოსახლეობისაგან ყველაზე მაღალი კურსით შეისყიდის ამერიკულ დოლარებს.
1 $ = 7000 კუპონი
ჩვენი მისამართია: ქ.თბილისი- ჭავჭავაძის გამზ. 39ა მე-2 სართ.
ვაკის პარკის პირდაპირ
☎ 29-49-76
22-15-19

ЕСЛИ ХОТИТЕ КУПИТЬ КВАРТИРУ,
ПРОЧТИТЕ ЭТО ОБЪЯВЛЕНИЕ
Продаются в собственность двух- и трёхкомнатные квартиры в ближайшем Подмосковье (9 км. от Москвы) в новом доме.
Контактные телефоны: (095) 441-05-37
374-65-03
208-93-47
337-30-31

მთავარი რედაქტორი ზურაბ ჯოგიაშვილი.
მისამართი, 380096, თბილისი, მ. კოსტავას ქ. № 14.
ტელეფონები: მთავარი რედაქტორის მისაღები 99-92-26; წერილების რედაქცია 99-78-24.
ავტორებს ვთხოვთ, მანქანაზე ნაბეჭდ 7 გვერდზე მეტი მოცულობის წერილებს ნუ შემოგვთავაზებენ.
გაზეთის ეგზემპლარებში პოლიგრაფიული წუნის შემჩნევისას მიმართეთ გამომცემლობა „სამშობლოს“ სტამბის კორპუსს, თბილისი, ხოშარაულის 29.
ტელეფონი — 34-78-45.
გაზეთი რეგისტრირებულია საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროში. რეგისტრაციის ნომერია 0468.
SAKARTVELOS RESPUBLIKA
САКАРТВЕЛОС РЕСПУБЛИКА

[illegible]